ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და რუს. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 163 ოთხშაბათი, 19 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 19 ივლისი 1922 წ. № 163

20 ივლისს 1922 წელს,

„წითელ კომანდირების კურსებზე გაწვევის დღეს“,

შესდგება პარტიულ და მუშურ ორგანიზაციების რაიონული კრებები და მიტინგები:

1 რაიონში—ნაძალადევის თეატრში.
2 რაიონში—ცენტ. მუშ. კლუბში.
3 რაიონში—ლენინის სახელობის კლუბში.
4 რაიონში—პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრებებზე გამოვლენ არმიის, პარტიის და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

(2—1) „გაწვევის დღის“ მომწყობი კომისია.

ჰააგის ირგვლივ

როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ჩანს, ჰააგის კონფერენციის დღეები დათვლილია. კონფერენცია ჯერ კიდევ თუ არ დახურულა ოფიციალურად, ყოველ შემთხვევაში დაშლის წინაშე დგას.

როგორც ვიცით, ჰააგა გაგრძელება გენუის და მოწოდებული იყო გადაეჭრა ის მთავარი საკითხები კაპიტალისტური ევროპისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის, რომლების გადაწყვეტა ვერ მოახერხა გენუის კონფერენციამ. ესაა საკითხები: კერძო საკუთრების, კრედიტის და ვალების.

ერთი რამ ცხადი იყო იმ თავითვე, სახელდობრ ის, რომ ამ საკითხებში ერთგვარი შეთანხმების მიღწევა მოპირდაპირე მხარეთა შორის შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტური მსოფლიო გენუაში გამოჩენილ შეურიგებლობას და ჯიუტობას თავს დაანებებდა და დათმობაზე წავიდოდა. რუსეთის მთავრობა კი, ქვეყნის მეურნეობის აღორძინების და საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცების ინტერესებისათვის, უკვე გენუაში წავიდა შესაძლებელ კომპრომისზე. და შემდეგ მან არა ერთხელ განაცხადა ოფიციალურად, რომ გენუის კონფერენციაზე დაკავებულ პოზიციიდან ის ოდნავადაც ვერ დაიხევს, ვინაიდან ეს იქნებოდა უკვე საბჭოთა სისტემის საფუძვლების შერყევა და უარყოფა, რაზედაც, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება რუსეთის მშრომელი ხალხი.

ასეთ პირობებში რა აზრი ჰქონდა ჰააგის თათბირის მოწვევას?

მისი ინიციატორების მიზანი იყო შეენელებიათ, რამდენადაც ეს შეიძლებოდა, გენუის დამარცხების შთაბეჭდილება, ჰააგასთან ერთგვარ იმედების დაკავშირებით. მათთვის საჭირო იყო გენუაში მათ მიერვე შექმნილ ჩიხიდან „გამოსავალი“ მოენახათ. ჰააგა სწორედ ასეთი „გამოსავალი“ იყო. მათ დარჩათ სათქმელი: დაიცადეთ, ჰააგის თათბირი პრაქტიკულად დააყენებს და შეისწავლის სადაო საკითხებს და გადასჭრის კიდეცა. ამ გზით შესაძლებელი იყო, ევროპის დღევანდელი მმართველების აზრით, „საზოგადოებრივი აზრის“ დაშოშმინება და მისი თანდათანი „შერიგება“ გენუიამდე არსებულ მდგომარეობასთან.

მაგრამ იყო სხვა მოსაზრება მათთვის უკიდურეს შემთხვევაში.

მათ გენუის შემდეგშიაც არ აუღიათ ხელი თავის განზრახვის განხორციელებაზე—ერთხელ კიდევ ეცადნათ გავლენის მოხდენა რუსეთზე და მისთვის მძიმე პირობების მოხვევა.

გენუაში ეს მათი წადილი არ განხორციელდა იმიტომაც, რომ აქ მათი ერთიანი ფრონტი საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ საგრძნობლად გაიბზარა და მკაფიოდ გამოაშკარავდა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელნიც ღრნიან ანტანტის „კეთილშობილ ოჯახს“.

ანტანტის მიზანს შეადგენდა თავის შერყეული ფრონტის გამთელება, ამ ერთობის დემონსტრაცია ჰააგის თათბირზე და ამით დაშინება საბჭოთა დელეგაციის და მისთვის იმ პირობების კარნახი, რომელნიც ამ უკანასკნელმა გადაჭრით უარყო გენუის კონფერენციაზე. ჩვენ ვიცით, რომ ანტანტა ამ მიმართულებით დიდ მუშაობას აწარმოებდა. ჯერ ისევ გენუაში დასდეს კაპიტალისტურმა მთავრობებმა შეთანხმება, რომლის ძალით მათგანს არავის ჰქონდა უფლება სეპარატიულ მოლაპარაკების წარმოებისა რუსეთთან. შემდეგ მოხდა ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს შეხვედრა, სადაც გამოცემული ცნობებით, მათ მიაღწიეს „შეთანხმებას“ რუსეთის საკითხში.

და ყველა ამის შედეგათ ჩვენ ვხედავთ, რომ ჰააგის თათბირზე ანტანტა გარეგნულად მაინც ერთიანი ფრონტით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოების დელეგაციებმა ისევ დაჟინებით, როგორც გენუაში, მოითხოვეს უცხოელ კაპიტალისტების საკუთრების აღდგენა საბჭოთა რესპუბლიკებში, ტყუილად კი არ მოუყრიათ თავი ჰააგაში ოფიციალურ დელეგაციების გვერდით საბჭოთა ფედერაციის გაეროვნებულ წარმოებათა ყოფილ პატრონებს. ისინი კარნახობდენ თავიანთ დელეგაციებს და გადაჭრით მოითხოვდნენ საკუთრების დაბრუნებას. ჩვენი დელეგაცია კი მოსურნე მშვიდობიანობის და ევროპასთან ეკონომიურ თანამშრომლობის აღდგენის, მზად იყო უდიდესი მსხვერპლი გაეღო და თანხმობას აცხადებდა ამ მესაკუთრეთა ქონების ანაზღაურებაზე, თუ საბჭოთა მთავრობას საჭირო კრედიტებს მისცემდნენ მეურნეობის აღსადგენად. მაგრამ ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ისინი მშვიდობიანობასა და მსოფლიო მეურნეობის აღდგენაზე უფრო მაღლა აყენებენ ვიწრო ჯგუფების მესაკუთრეობითი ინტერესებს, ამასთან ისიც ნათელი გახდა, რომ ისინი ისევ ისახავენ პოლიტიკურ მიზნებს რუსეთში. აქ კერძო საკუთრების აღდგენას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის მოსპობას და საბოლოო ანგარიშით საბჭოთა წყობილების განადგურებას.

მაგრამ, ცხადია, რუსეთის მშრომელი მასსა იმიტომ კი არ ღვრიდა სისხლს ოთხი წლის განმავლობაში, იმიტომ კი არ იცავდა საბჭოთა წყობილებას, რომ მერე „მშვიდობიანი გზით“ დამორჩილებოდა ბურჟუაზიულ დიპლომატიას და ხელი აეღო რევოლუციის ძირითად მონაპოვრებზე.

საბჭოთა ფედერაციის მთავრობა ამაზე არ წავიდა გენუაში, როცა უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, როცა ჩვენი რესპუბლიკების ხალხს სიმშილის მძლე ხელი ჩამოხრჩობას უქადოდა. მით უმეტეს ვერ წავიდოდა ეხლა, როცა ჩვენი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და მტკიცდება, კარგ მოსავალთან დაკავშირებით. წრევანდელი მოსავალი არამც თუ გამოკვებს რუსეთის მოსახლეობას, ამასთან იგი ხელს შეუწყობს მრეწველობის აღორძინებას, საქონლის ტრიალის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ გამოცოცხლებას და გაჯანსაღებას.

ამგვარად, თუ კაპიტალისტურს მსოფლიო ვიწრო ეგოიზმი დააბრმავებს, თუ ის კვლავ სიბეცეს გამოიჩენს და აღარ მოისურვებს ჩვენთან შეთანხმებას, ჩვენ შეგვიძლია ვიცადოთ.

ხოლო საკითხავია შესძლებს კი ევროპა ყოფნას საბჭოთა ფედერაციის დაუხმარებლად? ძალიან საეჭვოა. ამის დამამტკიცებელია ის ეკონომიური რღვევა, რომელიც იქ სულ უფრო და უფრო ფართე ხასიათს ღებულობს. ამ ეკონომიურ კრიზისის ნიადაგზე მუშათა მასებში უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება ევროპაში. და ეს მშრომელი მასსა, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, ბოლოს და ბოლოს შეზღუდავს ბურჟუაზიის უზომო მადას და აიძულებს მას დასთმოს თავისი გადაჭარბებული მოთხოვნილებანი და ეძიოს შეთანხმება საბჭოთა რუსეთთან.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

ტფილისის ქალაქის საბჭოს 17 ივლისის სხდომაზე ამხ. ლადო დუმბაძემ გამოაქვეყნა დეპეშა, რომელიც მიიღო ამხ. ორჯონიკიძემ ამხ. სტალინისაგან:

„გუშინ თვენახევრის შესვენების შემდეგ ექიმებმა ნებადართეს ილიჩს ინახულოს მეგობრები და რამდენიმე საათით იმუშაოს. მე ვიყავი ილიჩთან და დავრწმუნდი, რომ მისი ჯანმრთელობა სავსებით გამოკეთდა. დღეს უკვე მივიღე მისგან წერილი დირექტივებით მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. ექიმები ფიქრობენ, რომ ერთი თვის შემდეგ მას შეძლება ექნება კვლავ ძველებურად განაგრძოს მუშაობა.

ამ დეპეშას საზოგადოება შეეგება ცხარე ტაშის ცემით და პლენუმმა ერთხმად დაადგინა გაეგზავნოს ილიჩს მისასალმებელი დეპეშა მისი განკურნების გამო.

გაგზავნილი იქნა შემდეგი დეპეშა: „ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭომ მოისმინა რა ამხ. სტალინის დეპეშა თქვენი საბოლოო განკურნების შესახებ, გიგზავნით სახელოვან ბელადს და ამ საერთაშორისო პროლეტარულ აჯანყებათა სულის ჩამდგმელს თავის მგზნებარე მხურვალე სალამს“.

პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზნათ დაისახა პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა შესცვალოს იმნაირათ, რომ ის იქნეს უფრო ელასტიური, პარტიის მასასთან დაახლოვებული! მარტივი და ორგანიზაციულათ სწორი.

წარსულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ პარტიულ სტრუქტურაში რაიონული კომიტეტები ზედმეტი ბარგი იყო, პარტიული მუშაობის მხრივ კი უფერული და უსიცოცხლო. ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ზედმეტი ნაშენი რაიკომების სახით, მუშაობის გაძლიერების ნაცვლათ, შესამჩნევათ აფერხებდენ მას. ისინი ჰაერში გამოკიდებული იყვნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაუქმდა შესაფერი ადმინისტრატიული ერთეული.

რაიკომების ფუნქციებში უკანასკნელ ხანებში იმდენათ განმარტივდენ, რომ ისინი შეიქმნენ უბრალო მექანიკურ გადამცემ პუნქტათ სამაზრომსა და თემის კომუჯრედებს შორის.

რა თქმა უნდა შეუძლებელია ეს ითქვას სამრეწველო, ან თუ გინდათ ნახევრათ სამრეწველო რაიონებზე, რომელთა დანიშნულება და მუშაობის ასპარეზი გაცილებით უფრო ფართოა. სწორეთ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტი და პარტიული კონფერენცია, რომ სამრეწველო და ნახევრად სამრეწველო რაიონები, როგორც არიან მაგალითად: თბილისი, ხაშური, ბორჯომი, ჭიათურა, ტყიბული, სამტრედია დ ხონი, დასტოვა რაიკომები. ამ რაიონებში პარტიული კომიტეტის მოსპობა იქნებოდა პარტიული მუშაობის საგრძნობლად შეკვეცა, შესუსტება და თითქმის შეწყვეტაც ასეთ რაიონებში რაიონული კომიტეტები არა თუ განაგრძობენ არსებობას, არამედ ცეკამ, მათი გაძლიერება გაჯანსაღება სადღეისო გადაუდებელ და დამრტყმელ საქმეთ გამოაცხადა.

სამრეწველო და ნახევრად სამრეწველო რაიონებში, როგორც ვიცით ხდება რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებიდან მუშების და მშრომელი გლეხკაცობის კონცენტრაცია, აქ ხდება მათი „გაქლიბვა“, „გამჭლაშინება“, მათი გარდაქმნა და მომზადება პროლეტარულ კლასიურ აზროვნებისათვის; აქ ხდება მათი მსოფლმხედველობის სავსებით შეცვლა. ასეთ რაიონებში ჩვენი პარტიული მუშაობა ზედმიწევნით გაჩაღებული უნდა იყოს, იქ უნდა გყავდეს ჩვენი პარტიის საუკეთესო წევრები, რომ მშრომელი მართლაც მშრომელთა თვალსაზრისს ეზიაროს.

სულ სხვაა სოფლის რაიკომები, ისინი მოწყვეტილი იყვნენ სამაზრო ცენტრის და სოფლის მშრომელ მასსას. რიცხვით არა დიდი რაიკომი ასწრებდა მხოლოდ კანცელარიის წარმოებას, ისიც ცუდად. მათი მოსპობით კი ყველა იქ მომუშავე ამხანაგები გადასროლილ იქნებიან პირდაპირ პარტიულ მასსაში სამუშაოთ.

სოფლის რაიკომების ზედმეტი ბარგობა განსაკუთრებით მაშინ უფრო თვალსაჩინო შეიქნა, როდესაც მოისპო რაიონული აღმასკომები. პარტიული კომიტეტი, ვამბობთ ჩვენ, უნდა არსებობდეს პარალელურათ აღმასკომისა. ის მეთვალყურე და ხელმძღვანელია აღმასკომის მუშაობის და სხ. მაგრამ რომელ თვალყურზე, ან ხელმძღვანელობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც აღმასკომები რაიონებში სრულებით არ არსებობენ.

თემის აღმასკომები დღეის ანაბარად იყვნენ მიტოვებული, თუმცა თემში არსებობდენ კომუჯრედები, მაგრამ განა კომუჯრედებს ე. ი. პარტიულ მასსას უშუალოთ შეუძლია ხელმძღვანელობა ვისმესი? რა თქმა უნდა არა. თემთა კომუჯრედებს უნდა ჰქონდეს შესაფერი ორგანო, თემში ცენტრი, უნდა ყავდეს მეთაური, პატარა, მაგრამ ელასტიურად მომქმედი აპარატი, რომელიც შესძლებს თემის პარტიული მასსის კონცენტრაციას, თემის აღმასკომის კონტროლს და ხელმძღვანელობას. აი სწორედ ასეთ ორგანოთ უნდა ჩაითვალოს თემის პარტიული კომიტეტი, რომელიც უნდა შესდგეს თემში შემავალ კომუჯრედთა წევრების არჩევნებიდან. თემკომის რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 3 კაცს და 2 კანდიდატს.

თქმა არ უნდა, თემის კომიტეტები ზოგჯერ სუსტი იქნებიან განსაკუთრებით პირველ ხანებში, მაგრამ მათ უარსაყოფად ეს არგუმენტი არ გამოდგება, რადგან ახლად ფეხადგმული ყველაფერი სუსტი და უსუსურია.

რაიონის კომიტეტის კანცელარიაში მსხდომი ამხანაგები გამოყენებული იქნებიან სამაზრო ინსტრუქტორთა ინსტიტუტის გასაძლიერებლათ, ინსტრუქტორები მუდამ უნდა იმყოფებოდენ თემის და სოფლის კომუჯრედებში, სამაზრო ცენტრმა კი უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს თემკომებს, მაზრის კომიტეტის წევრები უნდა მიმაგრებული იქნენ მაზრის სხვა და სხვა ნაწილებზე, რომ ცოცხალი სიტყვით და საქმით გაუწიონ ახლად აღმოცენებულ თემკომებს შესაფერი ხელმძღვანელობა და გააჩაღონ სოფლათ პარტიული მუშაობა.

დეტალებზე შემდეგისათვის.

პ. ხაზაშვილი.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანიის ამბები

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). პრეზიდენტ ებერტს, რომელიც დაბრუნდა ბერლინში 15 ივლისს, თათბირი ჰქონდა კანცლერ ვირტთან და პარტიის ლიდერებთან შექმნილ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც უკიდურესად სთვლიან იმის გამო, რომ სოციალ დემოკრატებმა და დამოუკიდებლებმა დაადგინეს მიიღონ მომავალში მჭიდრო თანამშრომლობა. ფიქრობენ, რომ კრიზისი საბოლოოდ დამთავრდება ამ დღეებში.

სოციალ დემოკრატების ფრაქცია და დამოუკიდებლები დღეს იკრიბებიან თათბირზე შექმნილ მდგომარეობის გამო

— „ფორვერტსი“ ამბობს, რომ სოციალ დემოკრატების და დამოუკიდებლების გაერთიანების მიზანს წარმოადგენს სურვილი გამოიჩინონ აქტივობის მაქსიმუმი ორივე პარტიაში რომლებიც, მიუხედავად ამ გაერთიანებისა, შეინახავენ თავიანთ დამოუკიდებლობას. მომავალში რეიხსტაგს საქმე ექნება გაერთიანებულ პარტიასთან, და არა ცალ-ცალკე პარტიებთან.

კანონ პროექტი თავდაცვის შესახებ.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო) თავდაცვის კანონ პროექტის მესამედ წაკითხვა მოხდება რეიხსტაგში ოთხშაბათს.

საკონტრიბუციო საკითხი

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო) „ტაიმსის“ ბერლინელი კორესპონდენტი ამბობს, რომ ჩქარი და მარტივი პასუხი საკონტრიბუციო კომისიისა, რომელიც გაიგზავნა გერმანიაში ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოკავშირეებს შორის არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“ ის ცნობებით, გერმანიამ შეიტანა საკონტრიბუციო კომისიაში ივლისის ანგარიშში გადასახადი ოქროთ.

ჯილდო კომისიის წევრებს.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). „დეილი ამერიკენ“ ი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიას აიძულებენ აძლიოს სხვა და სხვა კომისიების წევრებს აურაცხელი ჯამაგირი.

მებრძოლ ნაციონალისტების პარტია.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). პანგერმანისტების დეპუტატს ვულეს განზრახული აქვს დაარსოს გერმანიაში მებრძოლ ნაციონალისტების პარტია ექსტრემისტების, იტალიელ ფაშისტების მგზავსად.

რატენაუს მოკვლის გამო.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). ბრუნსვიკში დააპატიმრეს ორი, როგორც ამბობენ—რატენაუს მკვლელები.

გერმანია და საფრანგეთი.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). საფრანგეთის კაბინეტმა მიმართა წერილით გერმანიის მთავრობას, რომელშიდაც აგონებს, რომ ვისბადენის შეთანხმება შედის ძალაში 20 ივლისს.

ბავარიის ოპოზიცია.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). რეიხსტაგის იურიდიულ კომისიაში ბავარიის მინისტრმა სასტიკად გააკრიტიკა კანონპროექტი საიმპერიო სისხლის სამართლის მელაცის სამინისტროს დაარსების შესახებ.

ამ კანონპროექტის გამო, ბავარიის მინისტრმა განაცხადა რეიხსტაგში, რომ უკვე მობეზრდა ბავარიას დაემორჩილოს საერთო—გერმანიის გაერთიანების პრინციპს.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პროტესტი განაცხადა ბავარიის მინისტრის პრეგერის პოზიციის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ პრეგერი უნდა დაუფიქრდეს ბავარიის იზოლიაციის შედეგებს ამ სიტყვამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.

ბლოკი დამოუკიდებლებთან.

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). რეიხსტაგის უმრავლესი სოციალისტების და დამოუკიდებელთა ფრაქციებმა გადასწყვიტეს შექმნან ბლოკი, ამასთანავე დამოუკიდებელი სოციალისტი გილფერდინგ დანიშნულ იქნება აღორძინების მინისტრად.

საერთო მდგომარეობა.

ჰანოვერი. 15 ივლისი (რადიო). პოლიტიკური მდგომარეობა გერმანიაში საგრძნობლად გამოკეთდა. ყველა პარტიები დასთანხმდენ თავიდან აიცილონ რეიხსტაგის გაშვება, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. კანცლერი ვირტი სცდილობს გაიყვანოს კაბინეტში თითო წარმომადგენელი დამოუკიდებლობისაგან და სახალხო პარტიიდან. თუ ეს შეუძლებელი დარჩა, მაშინ კაბინეტის გაფართოება გადადებულ იქნება ოქტომბრამდის, რეიხსტაგი კი გაშვებული იქნება. სოციალისტური პარტიები ალბათ შეეცდებიან გაატანონ ორშაბათს თავდაცვის კანონპროექტის მიღება, სანამ არ იქნება მიღებული დამატებითი კონფერენციები.

ჯერჯერობით თავდაცვის შესახებ კანონპროექტს ხმას მისცემენ ბურჟუაზიული პარტიები. თუ დამატებითი კანონ პროექტი უარყოფილი იქნა, მაშინ კენჭის ყრის დროს დამოუკიდებლები და შეიძლება კომუნისტებიც ხმას მისცემენ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ.

კანცლერ ვირტის განცხადება.

ნაუენი. 16 ივლისი (რადიო). კანცლერმა ვირტმა ამერიკელ სტუდენტებისადმი მიმართვაში გამოსთქვა კმაყოფილება, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი თანდათან რწმუნდება, რომ საკონტრიბუციო პრობლემა—მსოფლიო პრობლემაა. ვირტმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია ერისაგან მოითხოვონ ის, რის მიცემაც მას არ ძალუძს, და თუ მიუხედავად ამისა ასეთ მოთხოვნილების გზას დაადგებიან, მაშინ ეს აუცილებლად მიგვიყვანს მონობამდე, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა თავი დააღწია 60 წლის უკან.

დანციგი

მოსკოვი 15 ივლისი (რადიო). ქალაქ დანციგის პრეზიდენტმა განაც-

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

საღამოს სხდომა

14 ივლისის საღამოს სხდომაზე, კრილენკოს შეკითხვაზე, როგორ უნდა გავიგოთ ტერორი, კონოპლიოვა უპასუხებს, რომ ლენინზე თავდასხმა ხდებოდა პარტიის ცნობითა და მისი უშუალო დახმარებით. მაგრამ თუ ამ აქტის ჩამდენს დაიჭერენ, მას დაკითხვის დროს უნდა განეცხადებია, რომ ეს აქტი მისი პირადი მოფიქრების შედეგია. მას დაემალა თავისი მონაწილეობა პარტიაში. ამრიგად, კონოპლიოვას ჩვენებით ირკვევა, რომ ერთის მხრით სურდათ პარტია განზე დაეტოვებიათ ასეთი აქტებისაგან და მეორეს მხრით კი შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლენინზე თავდასხმა იყო ხალხის აღშფოთების შედეგი.

ბრალდებულები გენდელმანი და ლიხაჩი სცდილობენ სხვა და სხვა საშუალებით დაბნიონ კონოპლიოვა და აღმოაჩინონ წინააღმდეგობანი მის ჩვენებაში. მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს, რადგან კონოპლიოვა უპასუხებს მშვიდათ და მაწრაფლად და არკვევს გენდელმანისა და ლიხაჩის ყველა ეჭვებს. განმარტებას კონოპლიოვას მიერ მიცემული ჩვენების შესახებ იძლევა ბრალდებული ვედენიაპინი, რომელიც კონოპლიოვამ ინახულა მოსკოვში შესახვედრ ბინაზე. ვედენიაპინი ამტკიცებს, რომ მას არავითარი ლაპარაკი არ ჰქონებია კონოპლიოვასთან ლენინზე თავდასხმის შესახებ.

ბრალდებულ გოცის განმარტებანი

განმარტებას იძლევა გოცი, რომელიც ამბობს რაბინოვიჩის სიტყვებით, რომ კონოპლიოვას ქალს სტანჯავს ტერორის იდეა და რომ მას ამის შესახებ სურს მოელაპარაკოს გოცს. გოცი დასთანხმდა შეხვედროდა კონოპლიოვას, რადგანაც რაბინოვიჩმა უთხრა მას, რომ კონოპლიოვა ლაპარაკობს ინდივიდუალურ ტერორზე, პარტიული სახელწოდების გარეშე. მოისმინა რა კონოპლიოვას სურვილი ინდივიდუალური ტერორისტული აქტის ჩადენის შესახებ, გოცმა მიანდო რაბინოვიჩს დაესვა მოსკოვში, ცეკას ბიუროში, საკითხი ტერორის შესახებ, კონოპლიოვას ახალი განმარტებით. რაბინოვიჩმა ჩამოიტანა მოსკოვიდან ბიუროს უარყოფითი პასუხი, რაც გოცმა აცნობა კონოპლიოვას. უკვე მოსკოვში გაიგო გოცმა, რომ კონოპლიოვა გაემგზავრა პეტროგრადიდან მოსკოვში და რომ მას სურს გოცის ნახვა. გოცმა ნახა კონოპლიოვას ქალი მორალურად სავსებით დაცემული. მისგან გაიგო მან, რომ იგი წამოვიდა მოსკოვში, წინააღმდეგ ცეკას ბიუროს დადგენილებისა, განსაზღვრული განზრახვით ტერორისტული აქტის მოსახდენად, მაგრამ მას არაფერი არ გამოუვიდა.

გოცმა შეამჩნია რა შემაძრწუნებელი მდგომარეობა კონოპლიოვას ჯანმრთელობისა, ურჩია მას, წასულიყო თავის ოჯახში დასასვენებლად. რომ კონოპლიოვასთან ერთად მუშაობდა ეფიმოვი მოსკოვში, გოცმა ეს გაიგო ტიმოფეევისაგან.

ბრალმდებელებისა და ბრალდებულთა მეორე ჯგუფის დამცველების შეკითხვებზე, გოცს არ შეუძლია განმარტოს, თუ რატომ არ მიიღო პარტიის ცეკამ რაიმე რეპრესიული ზომები კონოპლიოვასა და ეფიმოვის მიმართ, რომელნიც ცეკას დადგენილების წინააღმდეგ გაემგზავრენ მოსკოვში ლენინზე თავდასხმის მოსაწყობად.

მოსკოვი. 16 ივლისი (რადიო). ტიმოფეევი თავის ჩვენებაში ლენინზე პირველი თავდასხმის შესახებ იძლევა ცნობებს, რომ დაახლოვებით მარტში 1918 წელს, მოსკოვში ჩამოვიდა ცეკას რწმუნებული რაბინოვიჩი, რომელმაც შეგვატყობინა, რომ ვიღაც პიროვნებამ წინადადება მისცა გოცს, მოაწყონ ტერორისტული აქტი. ცეკას ბიურომ კატეგორიულად გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ.

შემდეგ ტიმოფეევი შეხვდა ბრალდებულ ეფიმოვს, რომელმაც მას აცნობა, რომ ის ჩამოვიდა მოსკოვში კონოპლიოვასთან ერთად ლენინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსაწყობად. ტიმოფეევს ჰქონდა ეფიმოვთან ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროს გამოსთქვა განცვიფრება, რომ ძველ პარტიულ მუშაკმა ეფიმოვმა მიემხრო ასეთ ისტორიას. ტიმოფეევმა ითხოვა მიეყვანენ მასთან კონოპლიოვა. კონოპლიოვა მოვიდა ეფიმოვთან ერთად.

ტიმოფეევს მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა, რომელშიდაც აღნიშნა ტერორისტული აქტების მიზანშეუწონლობა იმ დროს, როდესაც მასაში არ არის განსაზღვრული სულიერი განწყობილება.

არავითარი დასასჯელი ზომები ეფიმოვის და კონოპლიოვას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის თვითნებითი მოწყობისათვის ტიმოფეევს არ მიუღია: ის ვერ ხედავდა გადამწყვეტი ზომების მიღებას გზააბნეულ, მაგრამ თავგანწირულ ხალხის წინააღმდეგ.

ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ ცეკასთვის რომ აუცილებელი ყოფილიყო ტერორისტული აქტის მოწყობა, მაშინ ამ საქმეს მიანდობდენ არა რიხტერს, არამედ თვით ტიმოფეევს.

ბრალდებული ეფიმოვი იძლევა ცნობებს, რომ 1918 წელს ის შეხვდა პეტერბურგში პარტიულ ბინაზე რაბინოვიჩს, რომელმაც წინადადება მისცა მას შესვლოდა ტერორისტების ჯგუფში. მეორეჯერ შეხვედრისას, რაბინოვიჩმა წინადადება მისცა ეფიმოვს წასულიყვნენ მოსკოვში ტერორისტული აქტის მოსახდენად, რაბინოვიჩმა კი არ აცნობა მას ვის წინააღმდეგ იწყობა ტერორისტული აქტი და განაცხადა, რომ დაწვრილებით ინსტრუქციებს ის მიიღებს მოსკოვში რიხტერისაგან.

ბოლოს ეფიმოვმა გაიგო, რომ პარტიის ცეკამ მისცა სანქცია ლენინის და ტროცკის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსაწყობად.

პეტროგრადში რაბინოვიჩმა უთხრა ეფიმოვს და კონოპლიოვას, რომ მოსკოვში ყველაფერი მზადაა აქტების მოსახდენად, მაგრამ როდესაც ეფიმოვი და კონოპლიოვა ჩამოვიდნენ მოსკოვში ისინი ყოველ დღე ნახულობდენ რიხტერს და თათბირობდენ მასთან შეთქმულების ორგანიზაციის შესახებ. კონოპლიოვას და ეფიმოვს პირადად ხვდათ წილად თვალყურის დევნება ლენინის და ტროცკისთვის. ეფიმოვი გულგრილად ეპყრობოდა ამ საქმეს იმიტომ, რომ რიხტერმა მოსკოვში ჩამოსვლისას რამდენიმე დღის შემდეგ განუცხადა ეფიმოვს, რომ პარტიას არ შეუძლია ეს აქტი სცნოს თავისად, თუმცაღა უწინ იგივე რიხტერი აცხადებდა, რომ ტერორისტულ აქტს აწყობს პარტია. ტიმოფეევთან საუბრიდან, ეფიმოვს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ტიმოფეევმა იცოდა თუ რისთვის ჩამოვიდნენ მოსკოვში ეფიმოვი და კონოპლიოვა, ტიმოფეევმა მისცა ფული ეფიმოვს და ის კონოპლიოვასთან ერთად წავიდა პეტერბურგში.

15 ივლისის საღამო სხდომაზე მოსმენილ იქნა მოწმე რაკიტნიკოვის და ბურევოის ჩვენება, რომელნიც არიან ესერების პარტიის ცეკას ყოფილი წევრები.

ცეკას თებერვლის სხდომის შესახებ, სადაც ირჩეოდა საკითხი ტერორზე, ბურევოიმ განაცხადა, რომ საკითხს ტერორის შესახებ არ გამოუწვევია დიდი კამათი ცეკაში. ნათლად გამოირკვა, რომ უმრავლესობისათვის პრინციპიალურად მიუღებელი იყო იმ მომენტში ტერორისტული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. მიღებული რეზოლიუცია უარყოფდა ტერორის შემოღებას საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეების მიმართ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადა პროტესტი საფრანგეთ-პოლონეთის წინააღმდეგ და აგრეთვე იმის გამო რომ ქ. დანციგი ხდება პოლონეთის საზღვაო ბაზად.

რესპუბლიკის დაცვის კანონი.

მოსკოვი 15 ივლისი (რადიო). რეიხსტაგში მოხდა მეორე წაკითხვა რესპუბლიკის დაცვის კანონ პროექტია. გერმანელ ნაციონალისტების წარმომადგენელმა ამ კანონის წინააღმდეგ წავიდა. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ კანონი უნდა ვრცელდებოდეს არამც თუ მემარჯვენეებზე, მემარცხენეებზედაც კი. კომუნისტ რერცველდმა უპასუხა, რომ კანონი, რომელიც უნდა მიმართული იყოს მონარქისტების წინააღმდეგ, გახდა კონსტიტუციის დაცვის კანონად. ორატორმა აღნიშნა, რომ ეს კანონი ხდება გერმანიის მსაჯულთა ხელში მემარცხენეებთან ბრძოლის იარაღად. მუშა ორატორები მოითხოვდენ ერთიანი მუშათა ფრონტის აუცილებლობას.

ამნისტია გერმანიაში.

მოსკოვი 15 ივლისი (რადიო). ლანდსტაგმა ბურჟუაზიული პარტიების ხმის უმრავლესობით უარყო წინადადება გაფიცულ რკინისგზელებზე ამნისტიის გავრცელების შესახებ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

უარს ამბობენ.

ნაუენი. 17 ივნისი (რადიო). სტატსსეკრეტარი ხიუზი, დემოკრატიულ ასოციაციისადმი მიმართულ წერილში, ამბობს, რომ შეერთებული შტატები ვერ ხედავენ მიზეზებს ჰააგის ტრიბუნალის შესახებ ხარჯების კვლავ გადახედვისა, ვინაიდან შეერთებული შტატები არ არის ერთა ლიგის წევრი და არა აქვთ საშვალება მოსამართლეთა შორის ყავდეს თავის წარმომადგენლები.

წყნარ ოკეანეზე.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო) შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ დაამტკიცეს ხელშეკრულება კუნძული აშის შესახებ. ხელშეკრულება უკვე შევიდა ძალაში.

რკინის გზელთა გაფიცვა ამერიკაში.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). ჩიკაგოში გამოუშვეს მოწოდება შოფერების, მექანიკების და რკინის გზის მემანქანეებისადმი დაიწყონ გაფიცვა 17 ივლისიდან.

ესპერანტო.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). აკადემიკოსმა კაპიუტმა განაცხადა, რომ ესპერანტო არის ენა ყოველგვარ ნიუანსების გარეშე, რომელსაც არ შეუძლია რთული იდეების გადაცემა და ამიტომ ამ ენის სწავლება, კომერციულ სასწავლებლებშიც კი უაზრობას წარმოადგენს.

თავდასხმა ინგლისელ პოლკოვნიკზე.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). ქაიროში მძიმეთ დასჭრეს, ხანჯლის სამჯერ დაკვრით, ინგლისელი პოლკ. პიგეტი.

დახმარება ავსტრიას.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). ვენიდან დაბრუნებულმა, ამერიკის ყოფილმა ელჩმა მორგანმა, ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ საკმარისი იქნებოდა რამოდენიმე კაპიტალისტის დახმარება ავსტრიის აღსადგენათ, რაც სასარგებლო იქნებოდა კაცობრიობისათვისა და ცივილიზაციისათვის. საჭიროა დაარსდეს ავსტრია-საფრანგეთ-ამერიკული საზოგადოება რომელიც აიღებდა ავსტრიის რკინის გზას, დაითხოვდა 25.000 გამოუსადეგარ მოხელეს და ასწევდა სატრანსპორტო ტარიფს. მაშინ, რამოდენიმე თვის განმავლობაში საქმეც გამოსწორდებოდა.

პაშიჩი.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). ბელგრადიდან უარყოფენ ხმებს პაშიჩის გადადგომის შესახებ. ეს ხმები გამოწვეული იყო სხვა და სხვა დაბრკოლებებით, რომელნიც ამ ჟამად გადალახულია.

ფაშისტები.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). კრემონში, მეზობელ თემებიდან, შეიკრიბენ ფაშისტები და მოითხოვდენ პროვინციალური დელეგაციის თავმჯდომარის გადაყენებას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა წესიერების დასაცავად დახურეს საზღვრები.

მოხდა კონფლიქტი აკვანეგრში ფაშისტებსა და კარაბინერებს შორის. ფაშისტების მდივანი მოკლეს. მკვლელობის შემდეგ რამოდენიმე ათასმა ფაშისტმა პროტესტის ნიშნათ გადაიარეს ქალაქი და გაანადგურეს სახალხო პარტიის წევრის დეპუტატ მაჯლიოლის ბინა.

პარლამენტში, რომში, სხვა და სხვა პარტიის წევრებმა შეიტანეს წინადადება, მაჯლიოლისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად, სხდომის დახურვის შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). ფაშისტების ყრილობამ კრემონში დაადგინა შეაჩეროს დემონსტრაციების გამართვა.

მაღაროს მუშათა გაფიცვა ამერიკაში.

ბორდო 17 ივლისი (რადიო). მაღაროს მუშათა ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა აუცილებლად უარყოს პრეზიდენტის გარდინგის არბიტრაჟი.

პოლონეთში

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). კორფანტი არჩეულია პრემიერად 219 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 206 ისა.

კორფანტის არჩევამ შექმნა პოლონეთის შინაური პოლიტიკისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა. პილსუდსკი, რომელიც არ იწონებს არჩევას, ფიქრობს გადადგომას.

ჰანოვერი. 17 ივლისი (რადიო). კორფანტის არჩევას გერმანიის პრესა სთვლის გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის ცუდ ნიშნად, სამშვიდობო ხელშეკრულების შესრულებისათვის და მცხოვრებთა დასამშვიდებლად ზემო სილეზიის იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნა პოლონეთს.

პარიზში მომხდარ თავდასხმის შესახებ.

ბორდო. 17 ივლისი (რადიო). კვლევა ძიებამ გამოარკვია, რომ ბუვეს ანარქისტულმა პარტიამ გამოუცხადა საყვედური მისი ყოფაქცევის გამო ზალევსკის საქმეში. ბუვემ მოაწყო თავდასხმა იმ მიზნით, რომ რეაბილიტაცია მოეხდინა თავისი რეპუტაციისათვის. თანამოზიარეები მას არ ჰყოლია.

ბუდაპეშტი.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). იტყობინებიან ბუდაპეშტში პოლიციისა და სოციალისტებს შორის მომხდარ სერიოზულ შეტაკების შესახებ

ჰანოვერი. 17 ივლისი (რადიო). ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციის დროს ბუდაპეშტში მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის. დაჭრილია მრავალი დემონსტრანტები.

ანგორაში.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). გაზ. „ტაიმსის“ ცნობით ანგორის კაბინეტი გადადგა, იმის შემდეგ, რაც ნაციონალურმა ყრილობამ უარი სთქვა ქემალ ფაშას მიერ შეტანილ კანონ პროექტის მიღებაზე

ერთა-ლიგა.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). ერთა ლიგის საბჭოს კრება დანიშნულია ლონდონში 17 ივლისს.

კილი.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). რეიხსტაგმა დაადგინა გამოაცხადოს კილი თავისუფალ ნავსადგურად.

ირლანდიაში.

კრაუდენი. 17 ივლისი (რადიო). მთავრობის ჯარებმა დაახევინეს რესპუბლიკანელებს სამხრეთით. რესპუბლიკანელებმა მიიღეს დამხმარე ძალები ტიპერერიდან და გუშინ დაიკავეს ბატფორტი. სამხრეთ ირლანდიაში ძველებურად სწარმოებს პარტიზანული ომი.

რომი. 17 ივლისი (რადიო). ირლანდიაში გრძელდება სამოქალაქო ომი. გუშინ მთავრობის ჯარებმა, რომელნიც მოჰყვენ ჩასაფრებულ ადგილებში, დაჰკარგეს 3 სალდათი და ჯავშნიანი ავტომობილი.

ინგლისი და ამერიკა.

ნაუენი. 17 ივლისი (რადიო). გაზ. „დეილი ხრონიკლი“ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ინგლისმა ეხლავე გადაუხადოს შეერთებულ შტატებს თავისი ვალები, ვინაიდან სხვა მოკავშირეები აგრძელებენ გადახდის ვადას, და ფიქრობს, რომ ბრიტანეთის ვალების გადამხდელები ჩავარდებიან გაჭირვებულ მდგომარეობაში. ამავე დროს გაზეთები ფიქრობენ, რომ საჭიროა გერმანიას შეუცირდეს საკონტრიბუციო გადასახადი და საერთაშორისო სესხი.

ჰააგაში.

რომი. 17 ივლისი (რადიო). ლიტვინოვმა პასუხი გასცა ბარონ ავეცანის სიტყვას, რომელმაც აცნობა, არა რუსეთის დელეგაციის გადაწყვეტილება მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ, თავის მხრივ ლიტვინოვი ამტკიცებდა, რომ კონფერენცია არ მისდევდა შეთანხმების პოლიტიკას. ლიტვინოვმა აიცილა თავიდან პასუხისმგებლობა მოლაპარაკების ჩაშლის საქმეში.

ამხ. კამოს ხსოვნას

თბილისის ქალაქის საბჭოს პლენუმში

(17 ივლისის სხდომა)

17 ივლისს, სალამოზე, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში გაიმართა ქ. ტფილისის საბჭოს პლენუმი ამხ. ლ. დუმბაძის თავმჯდომარეობით.

ამხ. კამოს ხსოვნას.

გახსნა რა სხდომა ამხ. ლ. დუმბაძემ წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ძვირფასი ამხანაგის; დიდი რევოლიუციონერის ამხ. კამოს ხსოვნისათვის, რომელიც სრულიად მოულოდნელად დაიღუპა. მწუხარებით სავსე მდუმარებით ყველა დამსწრენი ფეხზე დგებიან...

ამხ. შ. ელიავას სიტყვა.

ძნელია იმ დროს დამშვიდებით ლაპარაკი, როდესაც ულმობელი სიკვდილი ხელიდან გვაცლის ჩვენს საუკეთესო მებრძოლ ამხანაგებს. ვინ არ შეაშფოთა ამხ. კამოს ტრაღიკულათ გარდაცვალებამ. ყველა პარტიული ამხანაგი გრძნობს დიდ დანაკლისს, მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი აღელვებისა ჩვენ გვიხდება აქ რამოდენიმე სიტყვით მოვიგონოთ თუ ვინ იყო ამხ. კამო.

ბევრი თქვენთაგანი იცნობს უთუოთ კამოს რევოლიუციონურ შემოქმედებას. ის გახლდათ ჩვენი პარტიის ერთი უძველესი წევრთაგანი. მან მთელი თავისი ახალგაზრდობის ენერგია შესწირა ამ პარტიის კეთილდღეობას.

ამხ. კამო იბრძოდა თავისუფლებისათვის და მისთვის ამ მხრივ არ არსებობდა არავითარი საზღვარი, არავითარი ნაციონალური მიდრეკილება მას მოუხდა გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც და იგემა იმათი ციხე-ბორკილებიც.

კამო იბრძოდა ციხეშიც. ის აწყობდა გეგმებს, თუ როგორ დაეხწია თავი იქიდან. ან რა გაეკეთებია განთავისუფლების შემდეგ. კამო მუდამ რევოლიუციასა და მის შედეგებზე ოცნებობდა.

1905 წლის მოძრაობაში ას აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. დამარცხდა რევოლიუცია, მაგრამ კამოს სულის სიმშვიდე ერთი წუთითაც არ ღონდებოდა და ბრძოლას ჩვეულებრივათ განაგრძობდა. კამო იყო მეტათ მოხერხებული და პრაქტიკის მქონე ამხანაგი, მას ერთხელ ატუსალებენ და რომ ადვილათ დაეხწია თავი ხატუსალოდან მოიგონა სიგიჟე.

მიუხედავათ ათას გვარი წამებისა იმდენათ ხასიათის სიმტკიცე ქონდა, რომ ვერა გაუგეს რა იძულებული გახდენ გაენთავისუფლებიათ, რის შემდეგ ხელ-ახლათ აწყობს სხვა და სხვა გეგმებს და ეწევა მუშაობას.

კამო იყო შეუდარებელი დარაჯი რევოლიუციისა, მაგრამ გარდა ამისა ის განსხვავდებოდა ყველა თავისი ამხანაგებისაგან სისპეტაკით.

არ მოიპოვება ჩვენ შორის ისეთი ამხანაგი, რომელმაც რაიმე ცუდი სთქვას ამხ. კამოზედ. პირ იქით მას ამ მხრივ პატივს სცემდნენ მოწინააღმდეგენი. და ამის მაგალითმა ის, რომ მენშევიკური პარტიის წევრმა მის ცხედარს პატივი სცა.

კამოს ძლიერ უყვარდა თავისი ამხანაგები და მეგობრები. ხშირათ იტყოდა „კარგია მოვკვდებოდე, შემდეგ გავცოცხლდე და გავიგო, თუ იმათაც აქვთ ჩემდამი ასეთი სიყვარული.“—და მართლაც დღეს თუ გადავხედავთ მის ამხ.-მეგობრებს დავინახავთ, რომ ყველას მწუხარების გამომეტყველება აზის ასეთი დაუფასებელი ამხანაგის დაკარგვის გამო. სამწუხაროა ის გარამოება, რომ კამოს არავითარი წერილობითი საბუთები არ დაუტოვებია. მან ძალიან ბევრი რამ იცოდა ჩვენი პარტიის ისტორიიდან და ეს დიდათ საინტერესო იყო ჩვენთვის. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს [illegible] იყო ასეთი კამო, რომ [illegible] ლაპარაკობენ? ამხ. ის არ იყო პუბლიცისტი ან პოეტი, რომელთა სახელი ყველას მუდამ პირს ადგიათ. ის იყო ერთი უსწავლელი, წყნარი, თავდადებული მუშაკი, რომელზედაც ათასჯერ მეტი შეიძლება ითქვას ვინემ მე თქვენ აქ მოგახსენეთ.

ამხ. ჩვენ დავკარგეთ კამოს სახით ერთი საუკეთესო მებრძოლი, რაც უთუოთ დიდ დანაკლისათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი პარტიისათვის. მაგრამ, ამხანაგებო, მე ღრმათ მწამს, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდობა მიბაძავს ამხ. კამოს რევოლიუციონერობას და ისე მტკიცეთ დაიცავს იმ იდეებს რომლისთვისაც კამო თავგამოდებით იბრძოდა თავის უკანასკნელი სიკვდილის დღემდის. ეს იქნება საუკეთესო პატივის ცემა მისდამი და ჩვენც უნდა ის შევასრულოთ.

ამხ. კამოს ქუჩა.

ამხ. დუმბაძე აცნობებს პლენუმს, რომ შემოსულია წერილობითი წინადადება გამოეცხადოს, სახელი კირკის ქუჩას და დაერქვას ამხ. კამოს ქუჩა, მაგრამ პრეზიდიუმის დამსწრე წევრები ფიქრობენ, რომ უფრო სწორი იქნება გამოეცვალოს სახელი იმ ქუჩას, სადაც დიდი ხანი სცხოვრობდა ამხ. კამო და ამ ჟამად სცხოვრებენ მისი მშობლები და ნათესავები, და სახელდობრ დიდი მთავრის ქუჩას.

წინადადების ავტორი ეთანხმება პრეზიდიუმის წევრთა აზრს და საბჭოს პლენუმი ერთხმად ადგენს: დიდი მთავრის ქუჩას ეწოდოს ამიერიდან ამხ. კამოს ქუჩა.

სამგლოვიარო დეპეშები

თბილისი. ცენტრალურ აღმასკომს.

ახლი კოტე ცინცაძეს.

მოსკოვი. სტალინი, მე და სხვა ამხანაგები უზომოდ დაგვამწუხრა ამხ. კამოს ტრაღიკულად გარდაცვალებამ, რომელმაც ამდენი იშრომა და ტანჯვა-წამება განიცადა რევოლიუციის საქმისათვის, მაგრამ რომელიც სავსე იყო ჯან-ღონით და ენერგიით მომავალი ბრძოლისა და მუშაობისათვის.

აბელ ენუქიძე.

საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობისაგან რუსეთში.

მოსკოვი. 17 ივლისი. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ღრმად დამწუხრებულია გამოჩენილ რევოლიუციონერის ამხ. კამოს უდროვო ტრაღიკულ გარდაცვალების გამო. მისი სახელი მუდამ ნათელი დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე **სტურუა.**

თემის და მაზრის აღმასკომის აპარატის გამარტივება

(შ. ს. ს. კომისარიატის პროექტები)

გაზეთ „კომუნისტში“ დაიწყო სადისკუსიო წერილები იმ პროექტების გამო, რომელიც შეიმუშავა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა თემის და მაზრის ხელისუფლების ორგანოების გამარტივების მიზნით. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კარგი იქნება შ. ს. ს. კომისარიატისათვის, რაც უფრო მეტი გამოცდილი ამხანაგი გამოეხმაურება იმ პროექტს, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობის ერთ უდიდეს აპარატს შეეხება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუმცა პროექტი თბილისში იქნა დამზადებული, მაგრამ კომისარიატმა ის გაუგზავნა ყველა მაზრას და ავტონომიურ რესპუბლიკებს (გარდა აფხაზეთისა) დასკვნისა, შესწორებისა და საერთოდ გასარჩევათ. კომისარიატს აზრადაც არ ჰქონია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა თანამშრომლების დაუკითხავად, მათი აზრის გაუცნობლად, წარედგინა ის ცენტრალური მთავრობისათვის დასამტკიცებლად. კომისარიატი ერთის წუთითაც არ ფიქრობს იმას, რომ მისი პროექტი უნაკლოა, ან და მისი შესწორება არაა საჭირო. რაც მეტი იქნება თქმული, რაც მეტი საბჭოთა აღმშენებლობას გაცნობილი ამხანაგი და ორგანო გამოსთქვამს თავის აზრს, მით უკეთესია პროექტისათვის.

შ. ს. ს. კომისარიატს, თავისი მოსაზრებანი, თუ რით იხელმძღვანელა მან პროექტების შედგენის დროს გამოსთქვა განმარტებითი ბარათში, რომელიც აგრეთვე დაეგზავნა ზევით დასახელებულ ორგანოებს. რამ მიიყვანა შ. ს. ს. კ. ასეთ დასკვნამდე? აქ მოვიყვანთ იმ მოსაზრებათ, რომელიც ჩვენის აზრით დავას არ გამოიწვევს და რომელსაც სხვათა შორის დიდი ხანია დაადგა რუსეთის მთავრობა.

ყოველი აპარატი სახელმწიფო მართვა-გამგეობისა უნდა იყოს მარტივი, მოძრავი და ელასტიური. მისი მოქმედება უნდა იყოს შეფარდებული ადგილობრივ ინტერესებთან და რაც შეიძლება შემცირებულ იქნეს ბიუროკრატიზმი, პარალელიზმი მუშაობის დროს და დახანება ასრულებაში. აპარატი უნდა იყოს იაფი (რასაკვირველია არა საქმის გაფუჭებით, არამედ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ამით მოიგებს) და ხალხს იგი უნდა დაუახლოვდეს რამდენათაც ეს შესაძლებელია, ამასთან არ უდა დავივიწყოთ ისიც, რომ უფლებების მინიჭების დროს, პასუხის მგებლობაც უნდა ეთანაბრებოდეს იმ რკალს უფლებებისას, რომელსაც რომელიმე ორგანოს მივაკუთნებთ. უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში აგრეთვე გეოგრაფიული მდგომარეობა და მოსახლეების რაოდენობა. აი ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონდა შ. ს. ს. კომისარიატს როცა ადგენდა თემის მაზრის აღმასკომების ორგანიზაციის პროექტს. მიღებული ჰქონდა მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები გამოსთქვამდენ ასეთ სურვილს და თვით შ. ს. ს. კ. თანამშრომელნი, ადგილობრივ დათვალიერების დროს, ასეთ დასკვნამდე მიდიოდენ.

სანამ არსებითად შევეხებოდეთ ამხ. ს. გოდაბრელიძის წერილს, რომელიც „კომუნისტის“ 159 ნომერშია მოთავსებული საჭიროდ მიგვაჩნია გავითვალისწინოთ ზოგიერთი ის მოსაზრება, რომელიც ამ საკითხის შესახებ არსებობს რუსულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში.

რუსეთის შ. ს. ს. კ. ორგანო „ვლასტ სოვეტოვ“ ის ა. წ. მარტის მე 3 ნომერში, მოთავსებულია საინტერესო წერილი ამხ. ს. რავიჩის „შ. მართველობის განყოფილების გამგეთა მეხუთე ყრილობა“. ავტორი ამბობს, რომ „შ. ს. ს. კ. არ იტევს ყველა ადმინისტრატიულ ფუნქციას. სხვა სახალხო კომისარიატები, როგორც მაგალითად სასურსათო, შრომის, საფინანსო დამოუკიდებლათ ატარებენ მთელ რიგ ადმინისტრატიულ ზომებისას. ეს არის მიზეზი რომლის წყალობითაც, შინაგან მმართველობის განყოფილებათ ადგილობრივ, არ შეუძლიათ გააერთიანონ მთელი ადმინისტრატიული ხასიათის მუშაობა. ასეთი მოვლენა უეჭველად ხელს უშლის ადმინისტრატიული ზომების ნაყოფიერ გატარებას ცხოვრებაში“. „ასეთ დასკვნამდე მიიყვანა ყრილობა იმ გამოცდილებამ, რომელიც დაგროვდა რუსეთში საბჭოთა აპარატების აღმშენებლობის დარგში მუშაობის დროს. ადმინისტრატიული ხასიათის ზომები, რომელშიც მუშაობის უმთავრესი (არ ვამბობთ ერთად ერთი) საგანია ადგილობრივი ორგანოებისათვის, არ შეიძლება გატარებულ იქნენ წესიერად, კანონიერად, თუ მათ დამოუკიდებლათ ატარებს რამდენიმე ორგანო ან პირი. დეცენტრალიზაცია ორგანოების, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხ. გოდაბრელიძე, ძირს უთხრის უფლებრივი და ნორმალური წესის დამყარებას რესპუბლიკაში.

რა ფუნქციები აქვს მაზრის აღმასკომს? მართვა-გამგეობა მაზრისა კანონით გათვალისწინებულ საზღვრებში და ადმინისტრატიული ზომების მიღება. ადმინისტრატიულ ზომებს ანხორციელებს აღმასკომის მმართველობის განყოფილება და მილიცია. სხვა ძალა, სხვა ორგანო, რომელიც მსგავს მუშაობას ეწევა, ქმნის არევდარევას, უთანხმოებას, პარალელიზმს და ხშირად შეტაკებას ორი თანაბარი უფლების მქონე აპარატისას. „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია—ამბობს ამხ, რავიჩი,—გააერთიანოს აპარატი ცენტრში და განყოფილებები ადგილობრივ, გააფართოვოს თავისი ფუნქციები, მოუაროს მთელ ადმინისტრატიულ მუშაობას და განახორციელოს სწორი და თავის დროზე ხელმძღვანელობა.“ როდის შეიძლება ამის განხორციელება? რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმასკომის განყოფილებანი არ იმოქმედებდენ ცალ-ცალკე საერთო ხასიათის საკითხებში და ყველა ზომა ადმინისტრატიული ხასიათისა იქნება გატარებული მმართველობის აპარატის საშუალებით. ვისი საშუალებით ანხორციელებს ცენტრის ბრძანებას აღმასკომის რომელიმე განყოფილება? მას არა ყავს საკუთარი აღმასრულებელი ორგანო და აპარატი, უნდა მიმართოს მილიციას, უნდა მიმართოს მმართველობის განყოფილებას. კონტროლის, ხელმძღვანელობის და ზოგიერთ სპეციფიურ დავალებათა შესასრულებლად კი სრულიადაც არაა საჭირო ისეთი რთული აპარატის აგება, როგორიც არის დღეს ჩვენი აღმასკომების ზოგიერთი განყოფილება, თავისი უამრავი ქვე-განყოფილებებით. იმ ზომამდე ჰქონდა გადგმული ჩვენში ფეხი დეცენტრალიზაციას და ორგანოების „გაბერვის“ სურვილს რომ თემების აღმასკომებშიც კი იქნა დაარსებული განყოფილებანი და ამას მოყვა სრული გაუგებრობა საქმეში, არევ დარევა მისი. ასეთი რამ ნაკარნახევი იყო—რუსეთის პრაქტიკით. მაგრამ სწორედ ისე, როგორც პრაქტიკის მიღებაში გაგვასწრო რუსეთმა, გაგვასწრო შეცდომების გასწორებაშიც.

საბჭოთა IX ყრილობამ აღმშენებლობითი დარგის მოწყობის შესახებ მიიღო ღირსშესანიშნავი დადგენილება (იხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული ა. წ. 20 თებერვლიდან № 4, მ. 44 პ. 5) **„ვოლოსტის“ აღმასკომებთან არსებული განყოფილებანი და აგრეთვე „ვოლოსტის“ ეკონომიური თათბირი გაუქმებულ იქნენ. აღმასკომის წევრთა რიცხვი კი განისაზღვროს სამი კაცით.“** ჩვენში თემი აგებულია რუსეთის „ვოლოსტის“ მსგავსად. სცდება ამხ. გოდაბრელიძე, როდესაც იგი ამბობს, რომ ვითომ შ. ს. ს. კომისარიატი ჩვენს მაზრას უთანაბრებს რუსეთის „ვოლოსტს.“ თუმცა ასეც რომ იყოს კომისარიატი დიდ შეცდომას არ დაუშვებდა, რადგან რუსეთის, ზოგიერთი „ვოლოსტი“ ზოგიერთ ჩვენს მაზრას უდრის სივრცითაც და მცხოვრებთა რაოდენობითაც (მაგალითად ზემო სვანეთი, სამხრეთოსეთიც კი და ავტონომიური აჭარისტანის ზოგიერთი მაზრაც.

ახალი პროექტით თემის აღმასკომში არავითარი განყოფილება არ არსებობს. არის მხოლოდ ერთი, ტეხნიკური აპარატი, კანცელიარია. ძველად, ნიკოლოზის დროს, სამამასახლისო უდრიდა ჩვენს თემს და მამასახლისი მასთან არსებული აპარატით უძღვებოდა მთელს საზოგადოებას, ისეთ საზოგადოებას, რომელიც დღეს რამდენიმე თემად არის დაყოფილი.

(მაგალითად ზუგდიდის, სენაკის და სხვა მაზრებში). სამამასახლისოში შედიოდა ხშირად გაცილებით მეტი სოფელი, ვინემ თემში. რასაკვირველია მაშინ სულ სხვა კეთდებოდა, დღეს კიდევ სულ სხვა მოვალეობა აწევს აღმასკომს. მაგრამ ამ მოვალეობათა ასასრულებლად სრულიად საკმარისია (და ამაში 1 ნახ. წლის პრაქტიკამ დაარწმუნა კომისარიატი) ერთი მთლიანი აპარატი, როგორც ეს პროექტშია გათვალისწინებული. ჩვენის აზრით, ერთი ულოღიკობაა დაშვებული 9 ყრილობის ზევით დასახელებულ დადგენილებაში (პ. 5). თუ კი გაუქმებული იქნება განყოფილება, მაშინ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს აღმასკომი სამი კაცისაგან შემდგარი. სამი კაცი ეს კოლეგიაა, რომელიც მოწმედ, მოთათბირედ ეყოლება აღმასკომს. სამი კაცი მოქმედობს ერთად, ზომებს იღებენ ერთად და სხვ. და ეს კი აფერხებს საქმეს, ანელებს პასუხისმგებლობას, აგვიანებს სასწრაფო ზომებს და ხშირად ანვითარებს დაუდევრობას. კოლეგიალურმა სისტემამ დღეს უკვე დაკარგა აღმასრულებელ ორგანოებში მნიშვნელობა. ახლა საჭიროა ერთი პიროვნული მმართველი, ყველა მინიჭებული უფლებით და გამომდინარე ვალდებულება-პასუხისმგებლობით. ასეთ პირად პროექტს დასახელებული ყავს თემის საბჭოს მიერ ამორჩეული აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც პირადათ განაგებს თემს თავისი აპარატის და მილიციის დახმარებით და მხოლოდ რთული საკითხებისათვის იწვევს, თუნდაც კვირაში ერთხელ, რწმუნებულებს, აგრეთვე საბჭოს მიერ არჩეულებს, კომიტეტის წევრებს. ამხ. გოდაბრელიძის წერილში ეს გარემოება არ იწვევს დავას. დავას იწვევს მხოლოდ რწმუნებულების ჯამაგირი. ამხ. გოდაბრელიძის აზრით, რწმუნებულებმა უნდა მიიღონ სასყიდელი რადგან „რწმუნებული თავის გამოკვებაზე ზრუნვას ვერ მიატოვებს, უსასყიდლოდ ვერ შესძლებს მუშაობას. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ სოფლები დაშორებული არიან თემის აღმასკომისაგან ხშირად 10—15 ვერსტის მანძილით და მათ უხდება კვირაში ერთხელ, თუ მეტი არა, ამ მანძილის გავლა: თუ გვინდა, რომ ნაყოფიერი იყოს მათი მუშაობა, სასყიდელი უნდა მიეცესო“.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ აი რა შეიძლება ითქვას: თუ კი ძველად მამასახლისი და ეგრედ წოდებული სოფლის კეთილსინდისიერები მსახურებდენ ნიკოლოზის დროს უსასყიდლოდ, ეს დღეს უფრო მისაღები და ადვილი საქმეა. მამასახლისის სამოქმედო სივრცე მეტი იყო ვინემ რწმუნებულს იქნებათ (თავის სოფლის ფარგალი). ეს თანამდებობა არის საპატიო, მოქალაქის ვალდებულების აღსრულება. რას მოითხოვს მისგან პროექტი? დახმარებას ხელისუფლების წარმომადგენლებისას და თემის აღმასკომის დავალებათა სისრულეში მოყვანას—მოწვევას სოფლის ყრილობისას, გაცნობას მათთვის დადგენილებისას და სხვ. მისი სამოქმედო ასპარეზი შემოფარგლულია:—ის არ სცემს არავითარ ბრძანება—დადგენილებას, ის მრჩეველი, დამხმარე პირია და სოფლის ინტერესების დამცველი და წარმომადგენელი აღმასკომში,—ეს ერთი. მეორე ის, რომ სასყიდელი მას ეძლევა, მხოლოდ არა ჯამაგირის სახით, არამედ აღმასკომის სხდომაზე დასწრებისათვის, დღიური. ეს დებულების პროექტში არაა გათვალისწინებული, იგი განმარტებითი ბარათშია მოხსენებული, მაგრამ დებულებას შეიძლება დაერთოს. იქ არ იქნა შეტანილი იმიტომ, რომ ამის შესახებ არსებობს ცალკე კანონი, კომისიებში და სხვ. მონაწილე წევრთა დღიურების შესახებ. ეს ადვილი საქმეა. მესამე, რაც შეეხება სიშორეს, წერილის ავტორს ტყუილად გაუზოგადოებია ცენტრიდან 10—15 ვერსტის სიშორე. იშვიათია ისეთი თემი დღეს საქართველოში, რომლის სოფელი 10—15 ვერსტით იყოს დაშორებული. რაიონების დროს იყო ასე, მაგრამ რაიონების გაუქმების შემდეგ სიშორის მიზეზით სასყიდლის მოთხოვა, უსაბუთოა. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ რწმუნებულის თანამდებობა შკოლაა შემდეგისათვის მომზადებული მუშაკის მოსაპოებლად. პატივისცემა და ავტორიტეტიც მეტი ექნება, ვინემ დაქირავებულს. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კომისარიატი, როცა რწმუნებულების ჯამაგირებზე უარს ამბობდა. *) თუმცა ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მოსახერხებელია მათაც ჯამაგირი დაენიშნოს ადგილობრივი სახსრიდან.

გადავიდეთ ახლა მაზრის აღმასკომზე, რომელიც მეტ წინააღმდეგობას იწვევს ამხ. გოდაბრელიძის მხრივ. იმავე მე 9 ყრილობის დადგენილების განყ. 3, პ. 1 ამბობს, რომ „მაზრის აღმასკომთან არ უნდა არსებობდენ რ. კომ. პარტიის, იუსტიციის, სახალხო მეურნეობის და საგანგებო კომისიის განყოფილებანიო“. ამავე დადგენილების მეორე პუნქტი, კი უფლებას აძლევს გუბერნიის აღმასკომის სათანადო განყოფილებათ, საჭირო შემთხვევებში მაზრის აღმასკომთან **შეთანხმებით დანიშნოს თითო წარმომადგენელი (რწმუნებული) სათანადო განყოფილების საჭიროებათა მოსაგვარებლად და მიეცეს უფლება ისარგებლოს მაზრის აღმასკომის ერთ-ერთი განყოფილების აპარატით, მაზრისავე აღმასკომის პრეზიდიუმის მითითებით.** ეს დადგენილება მრავალმხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი—რუსეთში დაადგნენ აღმასკომებთან განყოფილებების შემცირების გზას, მეორე—კოლეგიალურ სისტემაში შეაქვთ შესწორება და მესამეც აწესებენ რწმუნებულების ინსტიტუტს, რომელსაც ეძლევა უფლება მაზრის აღმასკომის აპარატით სარგებლობისა. შ. ს. ს. კომისარიატმა გააფართოვა ეს მიდრეკილება და ამას დიდი დამხმარე აღმოუჩნდა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებში. აქ შეუძლებელია მოყვანა ყველა საბუთის, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ ისეთმა დიდი მნიშვნელობის მაგრამ, როგორიც არის თბილისის, პროექტი სავსებით მოიწონა. ჩვენში არაა გუბერნიები. მათი ადგილი უჭირავს მაზრას. მაგრამ ჩვენს მაზრებს აქვთ მხოლოდ 10—13 განყოფილებამდე. რუსეთის გუბერნიებს კი 17. მათთან შედარება ჩვენი აპარატის არ შეიძლება მრავალი მიზეზების გამო. ავიღოთ თუ გინდათ სივრცე, მცხოვრებთა რიცხვი და სხვ., ჩვენშიც დღესაც ყველა მაზრაში არაა ყველა განყოფილება, მაშასადამე ცხოვრება გვიკარნახებს ჩვენ, ერთნაირი აპარატის, მარტივი აპარატის შექმნას. ის რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენში, ეს არის შინაგანი წესრიგის დაცვა (შინა მმართველობა), სამხედრო საქმეები (სამხედრო განყოფილება) და საფინანსო განყოფილება. კომისარიატს შესაძლებლად მიაჩნია ამ სამი განყოფილებით ამოწურვა აღმასკომის აპარატისა. მაგრამ იბადება საკითხი, ვინ გაატარებს დანარჩენი კომისარიატების დავალებათ ადგილობრივ? აი ამაზე უპასუხებს პროექტის § 7 შენიშვნა. სათანადო კომისარიატები აარსებენ ინსპექტორების თანამდებობებს, რომლებიც იქნებიან გამტარებელნი ადგილობრივ სათანადო ზომების და პოლიტიკის. ეს ინსპექტორები (ან სხვა სახელით სულ ერთია, მხოლოდ ერთპიროვნული იყოს) შეიძლება, ან უკეთ, უმჯობესი იქნება, იყვნენ აღმასკომის წევრები, რომლის განკარგულებაშიც იქნება აღმასკომის კანცელარია და მთელი ტეხნიკური აპარატი. ყოველი ნარკომატი თავის დავალებას ანხორციელებს ადმინისტრატიული აპარატის და მილიციის საშუალებით, ამიტომ სრულიად ზედმეტია კიდევ ცალკ-ცალკე განყოფილებათა შექმნა თავისი რთული აპარატით და დეცენტრალიზმის გაძლიერება. ასეთი სისტემის დროს არ ექნება ადგილი იმ გაუგებრობას და უთანხმოებას, რომელიც ახლა ხშირია ადგილობრივ, გარდა ხარჯის ეკონომიისა, გარდა ძალების შემონახვისა, გარდა ცენტრალიზაციის გატარებისა, გარდა მთლიანი ტეხნიკური აპარატის მოწყობისა და სხ. ასეთ ზომას ის უმეშვეო შედეგი მოჰყვება, რომ მაშინ აღმასკომი და მისი პრეზიდიუმი უფრო მეტად იქნება გაცნობილი მუშაობას, მის ხელში იქნება ნამდვილი კონტროლი და ხელმძღვანელობა მაზრის და ყველა ხელქვეით დაწესებულებათა, უფრო სწრაფად, მარტივად ასრულდება ცენტრის ბრძანება და სხ.

მაგრამ არც ეს გარემოება იწვევს დავას ამ შემთხვევაში. ამხ. გოდაბრელიძე დიდ პატრიოტობას იჩენს შრომის სახალხო კოსისარიატის ადგილობრივი განყოფილებისადმი და ჩვენც კონკრენტიულად ამ განყოფილებებზე გადავალთ.

ამხ. გოდაბრელიძეს შეუძლებლად მიაჩნია შრომის განყოფილების გაუქმება და მისი ქვე-განყოფილებად გა-

---

*) რასაკვირველია რწმუნებული, **გარდა ამისა თავისუფალი იქნება ყოველგვარი ბეგარისაგან,** სანამ ის ასრულებს რწმუნებულის თანამდებობას.

ა. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ კამოს ხსოვნას

ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის წითელ არმიელები, თანამშრომლები და საკომანდო შემდგენლობა ღრმა მწუხარებით აღვნიშნავთ დაუღალავი მებრძოლის, წითელი გმირის ამხ. კამო პეტროსიანცის დაკარგვას. ამხ კამო პეტროსიანცის დაკარგვას, ამხ. კამოს დაკარგვა დიდი დანაკლისია იმ პარტიისათვის, რომელიც დღეს მიგვიძღვება წინ მშრომელ მასის სოციალიზმისაკენ. სამუდამო ხსოვნა შენი წარუშლელი იქნება ჩვენს გულში, ამხ. კამო.

ამხანაგების მონდობილობით.

გოგიტო.

—

ჩვენ წაღვერის სანატორიუმში მყოფი მოაგრაკე ავადმყოფი ამხანაგები, ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ძვირფასი ამხანაგის, ძველი რევოლიუციონერის შეუდარებელ მებრძოლის ამხ. კამოს უდროვოდ დაკარგვის გამო.

ვუერთებთ ჩვენ ხმას პროლეტარიატის სამგლოვიარო ხმებს და მასთან ერთად ვიგლოვთ მუშათა კლასის ავანგარდის სიამაყეს, კამოს.

ნუშიკ ზავარიანი, ლიდა ბიბინეიშვილი, აკაკი ლეკვეიშვილი და სხვ.

—

მეტად სამწუხარო ამბავი გავიგეთ ჩვენ წაღვერის მოაგარაკე ამხანაგებმა შენი დაკარგვით, ძვ. ამხ. კამო. ჩვენს მზიანს და წითლად მოელვარე ჰორიზონტზე კვლავ გაიშალა შავი ზეწარი, რომელმაც საგრძნობლათ შემოხაზა შავი არშიით მუშათა უბნები... ყოველი მხრიდან გაისმის გულსაკლავი ქვითინი, რომელიც ამოხეთქილია რევოლიუციონური გულებიდან: გლოვობენ შეუდარებელ მებრძოლს, ძველ რევოლიუციონერს, მათთვის თავგანწირულ საყვარელ კამოს... ყველას წინაშე სდგას უზარ-მაზარი კითხვითი ნიშანი: „ნუთუ მართლა"?—„ვინ აღარ გვყავს? „კამო"? ყოველი რევოლიუციონერის სახეზე აღბეჭდილია უსაზღვრო გაკვირვება. უმეტესად მით, რომ შენ მსხვერპლი გახდი ბრმა შემთხვევის. შენ ყოველთვის მებრძოლთა შორის პირველ რიგებში გხედავდით. დღეს შენ გულსაკლავი ქვითინით დაგტირის პროლეტარიატი, რომელმაც შენში დაჰკარგა შეუდარებელი მებრძოლი, მათი ინტერესების დამცველი ამხანაგი, რომელიც ბავშვობიდანვე იბრძოდა ყოველ ფრონტზე, რომელმაც არ იცოდა თუ რა იყო მოსვენება, რა იყო შიში.. შენი რევოლიუციონური ნაბიჯები, რომლებიც ელვის სისწრაფით გადადიოდა საქმეზე, არის დაფასებული და მუდამ ცოცხალი იქნება პროლეტარიატის გულში.

შენი სახელი მუდამ რისხვა იყო ბურჟუაზიულ კლასებისთვის და რისხვათვე დარჩება იგი...

მხცხვენია ძვ. ამხ. რომ ამ წერილის დაწერის დროს ცრემლები მახრჩობს და შენებრ რევოლიუციონერს ცრემლებით დავსტირი, მაგრამ ვიმართლებ თავს მხოლოთ შემდეგი თქმულებით: „კაცთ და პირუტყვთ გასარჩევათ შექმნილია მხოლოდ ცრემლი-"ო.

შენი უკვდავი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო.

ლოლა.

—

საშინელი მეხი დაეცა პროლეტარიატის თავზედ. 15 ივლისს თავდადებულ მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა ერთი გმირი, კომუნისტური პარტიის წევრი, ამხ. კამო.

საზარელ სურათის სინამდვილე გულს ლახვრავს.

გული კი ურჩობს, უარყოფს სინამდვილეს. ნუ თუ მოკვდა კამო? დიახ მოკვდა, აღარა გვყავს ის, აღარა გვყავს გმირი. დიახ, პროლეტარიატმა დიდი დანაკლისი იგრძნო ამხანაგი კამოს დაკარგვით.

მშვიდობით ამხ. კამო, ფიცსა ვსდებთ შენს გაცივებულ ცხედარის წინაშე, რომ შენ დაწყებულ საქმეს განვაგრძნობთ ჩვენ და შენებრ არ დავიშურებთ მისთვის ჩვენს სიცოცხლეს.

გოგიტო ციმბირელი.

დაქცევა, იმიტომ, რომ იგი თავისი ფუნქციებით სხვავდება სხვა განყოფილებისაგანო. მისი ფუნქციებია:

შრომის დაცვა, უმუშევრობის განაწილება, უმუშევრების დაზღვევა, ხელფასის მოწესრიგება, შრომის ხარკის ჩატარება, კონფლიქტების გარჩევა, კოლექტიური ხელშეკრულების საკითხის მოგვარება, ღარიბ მოქალაქეთა დახმარება და სხვა. შრომის განყოფილება წარმოადგენს ოთხ ორგანიზაციის შეერთებულ ორგანოს და სხ. ამიტომ, წერილის ავტორს ჰგონია, რომ შრომის განყოფილების ქვე-განყოფილებად გადაქცევა არ შეიძლება, ამხ. გოდაბრელიძე სცდება, როცა ფიქრობს, რომ მარტო შრომის განყოფილება სხვავდება თავისი ფუნქციებით სხვა განყოფილებებისაგან. შრომის განყოფილების დანიშნულება არის, და თუ დარჩება განყოფილებად, იქნება კიდეც, აღმასრულებელი და კონტროლის ხასიათის. არავითარი დამოუკიდებელი კანონით გაუთვალისწინებელი ნაბიჯის გადადგმა მას არ შეუძლიან, თუ გადასდგა ან გადასდგამს, იგი დაარღვევს მას. მისი როლი და დავალება მაშასადამე არის აღსრულება და კანტროლი თავის დარგში. რა უნდა აკეთოს მან? ზევით არის ჩამოთვლილი: განაწილება უმუშევართა: საიდან ღებულობს ცნობებს შრომის განყოფილება უმუშევრების შესახებ? სად და ვისი დახმარებით ანაწილებს მას? ვისი შემწეობით იცავს შრომას? რომელი ორგანოს დახმარებით ტარდება დაზღვევა? შრომის ბეგარას ვინ ატარებს? და სხვ. დაგვეთანხმება ამხანაგი, რომ ადმინისტრატიული აპარატის დაუხმარებლად და საერთოდ შინაგან მმართველობის განყოფილების გარეშე, შრომის განყოფილ. ერთ ნაბიჯსაც ვერ სდგამს.ეს ერთი—შემდეგ შრომის განყოფილებას არა ის მნიშვნელობა ზემო სვანეთში, დუშეთში, ლეჩხუმში და სხვაგან, რაც თბილისში მაგალითად. კოლექტიური ხელშეკრულების საკითხის მოგვარებისა და დაზღვევისათვის სრულიადაც არაა საჭირო მთელა განყოფილება. შრომის განყოფილების ფუნქციებს ძალზე აზვიადებს ავტორი, თორემ, ის რომ გაეცნობოდეს მოხსენებებს ადგილიდან, დაინახავს, რომ ზოგან განყოფილება სრულიად ზედმეტია ქვე-განყოფილების სახითაც კი, რადგან ობიექტი მისი ზრუნვისა არ არსებობს.

რუსეთის შ. ს. კ. 1920 წ. 5 ოქტომბრის დადგენილების, № 43, თანახმად, „ვოლოსტებში" დანაწილება და აღრიცხვა სწარმოებს აღმასკომის კანცელარიის საშუალებით (მ. 4) თუ კი ასეთი დიდი როლის თამაში რუსეთის „ვოლოსტის" კანცელარიას შეუძლია, ჩვენ გვგონია, რომ საქმე მოიგებს, თუ შრომის განყოფილებას მოვათავსებთ ჩვენ იმ განყოფილებასთან, რომელთანაც იგი მთელი თავისი არსებითაა გადაჯაჭვული. შეიძლება მოხდეს! რომ არც ერთი ფუნქცია მისი არ იქნეს შელახული, მხოლოდ ექნება არა საკუთარი კანცელარია და საქმის წარმოება, არამედ საერთო-მმართველობასა და აღმასკომთან. ტყუილად მოსჩვენებია წერილის ავტორს, რომ შ. ს. ს. კ. პროექტში იყოს მოყვანილი შრომის განყოფილების ფუნქციები იმ სახით, თითქოს მისი მოღვაწეობა გვესმოდეს ჩვენ, მხოლოდ აღრიცხვის აზრით. პროექტში და ისიც თემის აღმასკომის ორგანიზაციის, არის აღნიშნული შრომის ბეგრის გატარება და მასთან დაკავშირებული დავალება, რომელიც უნდა აასრულოს თემის აღმასკომმა. მაზრის შრომის განყოფილების ფუნქციებზე ერთი სიტყვაც არაა პროექტში და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან შრომის განყოფილების ფუნქციებზე უნდა იფიქროს შრომის სახ. კომისარიატმა და არა შ. ს. ს. კ. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ შრომის განყოფილების გაუქმება შეიძლება და მთელი ფუნქციების დატოვებით, იგი უნდა დავიდეს ქვე-განყოფილების მდგომარეობაზე, დაუახლოვდეს იმ აპარატს, ურომლისოდაც არც ერთი განყოფილების არსებობა ადგილობრივ არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში პროექტში არის კიდევ მეორე გზა საკითხის მოსაგვარებლად, სწორედ ის გზა, რომელიც არის გათვალისწინებული სხვა განყოფილებისათვის, სახ. სისტემა ინსპექტორებისა. უკიდურეს შემთხვევაში ამაზე შორს პროექტი არ მიდის და საქმეც სწორედ ამას მოითხოვს. მაშ რაშია საქმე? განა შეიცვლება შრომის განყოფილების ფუნქციები რითიმე, რომ იგი არ არსებობდეს, როგორც ცალკე განყოფილება? არაფრით: ფუნქციები რჩებიან, იცვლება ორგანიზაცია.

ყოველივე ამის გამო, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აზრით, საჭიროა გამარტივება აპარატისა: მას მოითხოვს საქმის და დავალებათა აღსრულების ინტერესი, ამას მოითხოვს ძალთა და სახსრის ეკონომია, ამას მოითხოვს განსხვავებული პირობები და ურთიერთობა საბჭოთა საქართველოსი. შაბლონით მართვა არ შეიძლება, შაბლონი არაა შემოქმედება და აღმშენებლობითი მუშაობას საქართველოს კულტურული ხალხისას, ესაჭიროება ჯანმრთელი აპარატი თავიდან ბოლომდე.

ჯერ-ჯერობით ეს საკმარისად მიგვაჩნია ამხ. გოდაბრელიძის წერილის საპასუხოდ. ყოველ შემთხვევაში შ. ს. ს. კ. დიდის სიამოვნებით მოისმინეს აზრებს სადაო პროექტების შესახებ, რაც დიდად გააღვილებს კომისარიატის საქმიან მუშაობას.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

მუშათა ცხოვრება

დამზღვევი კასა.

(კითხვა-პასუხი).

კითხვა: რა შემთხვევაში უწევს დახმარებას დამზღვევი კასა თავის წევრებს?

პასუხი—დამზღვევი კასა მზრუნველობას ფულით დახმარებისა და პენსიების სახით უწევს თავის წევრებს, როგორც დროებით, ისე მუდმივი შრომის უნარის დაკარგვის დროს, აგრეთვე სიკვდილისა, ორსულობა-მშობიარობისა და უმუშევრობის დროს.

კითხვა: უწევს თუ არა კასა დახმარებას წევრთა ოჯახობას?

პასუხი—თუ კასის მონაწილეს მოუკვდება ოჯახის წევრი, რომელსაც ის არჩენდა მის დასამარხად ეძლევა კასიდან დახმარება. კასის წევრი ღებულობს დახმარებას აგრეთვე იმ დროს, როდესაც მას შვილი შეეძინება.

კითხვა: როგორ საექიმო დახმარებას უწევს კასა თავის წევრებს?

პასუხი—კასა უწევს თავის წევრებს სრულ კვალიფიციურ დახმარებას უფასო წამლების მიწოდებით, როგორც წევრებს ისე მათ ოჯახის შემადგენლობას, რომლებსაც ისინი ინახავენ.

კითხვა: როგორ შეიძლება მიიღოს წევრმა დახმარება კასიდან, დროებითი ავადმყოფის დროს?

პასუხი—დახმარების მიღებისათვის საჭიროა ავადმყოფმა წარადგინოს კასაში ბიულეტენი კასის ექიმისაგან დასმული დიაგნოზით და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტისაგან ხელმოწერილი, და სადაც ასეთები არ არის,—ადმინისტრაცია მეპატრონესაგან. „ბიულეტენი" უნდა იყოს შევსებული სისწორით და შიგ არავითარ გადასწორებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

კითხვა: სად ღებულობს ავადმყოფი ბიულეტენს?

პასუხი—ბიულეტენები იშოვება ყველა საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებში, დამზღვევი კასის ამბულატორიებში და სადაც კომიტეტები არ არის,—ყველა ცალკე მეპატრონე ვალდებულია იქონიოს ბიულეტენი.

კითხვა: ვინ ურიგებს დაწესებულებს ბიულეტენს?

პასუხი—დამზღვევი კასა.

კითხვა: შეიძლება თუ არა ბიულეტენის მაგივრად ავადმყოფმა წარადგინოს კასაში ექიმის უბრალო მოწმობა მის ავადმყოფობის შესახებ.

პასუხი—არა, ვინაიდან ბიულეტენი მარტო იმისათვის კი არაა საჭირო, რომ შიგ სწორი ცნობა იყოს ავადმყოფობის ხანგრძლიობის შესახებ, არამე ბიულეტენში მოთავსებული ცნობები ფრიად საჭიროა სტატისტიკისათვის.

კითხვა. როგორ შეიძლება მიიღოს ბიულეტენი იმ ავადმყოფმა, რომელიც წევს თავის ბინაზე ან საავადმყოფოში.

პასუხი—ასეთ ავადმყოფმა თავის ნათესავი ან მომვლელი უნდა გაგზავნოს იმ დაწესებულებაში, სადაც ის მუშაობდა იქ იმას გამოუწერენ ბიულეტენს და შემდეგ ექიმი, რომელიც მას მკურნალობს შეავსებს ამ ბიულეტენს კასაში წარსადგენად.

მიღება-დათხოვნის შესახებ.

(კითხვა-პასუხი).

კითხვა: შეიძლება თუ არა მუშა-მოსამსახურის უმიზეზოთ დათხოვნა?

პასუხი: უმიზეზოთ დათხოვნა დაუშვებელია. მუშა-მოსამსახურის დათხოვნა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: 1) როცა წარმოება-დაწესებულებაში მუშაობა მცირდება ნაწილობრივ ან წყდება მთლიანათ და ამით გამოწვეულია შტატების შემცირება ან სრული ლიკვიდაცია, 2) თუ მუშა-მოსამსახურე დავალებულ მუშაობისათვის უვარგისი გამოდგა; 3) თუ დაქირავებული არ ასრულებს მასზე დავალებულ საქმეს, 4) შინაგან განაწესის სისტემატიურ შეუსრულებლობისათვის, 5) თუ დაქირავებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაულობა. და 3) სასამართლოს მიერ სასჯელის მიცემის გამო (საპყრობილეში დამწყვდევა), 6) ექვსი თვეზე მეტ ავათმყოფობის გამო, 7) ერთ თვეში ოთხ დღეზე მეტი სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის და სისტემატიურათ დაგვიანებისათვის საპატიო მიზეზთა გარეშე, 8) მუშა-მოსამსახურის სურვილის გამო 9) დაქირავებულის სავალდებულო სამსახურში შესვლით (სამხედრო სამსახურში გაწვევა).

კითხვა: შეიძლება თუ არა დათხოვნა სამუშაოზე ერთი დღის გამოუცხადებლობის და რამოდენიმეჯერ დაგვიანების მიზეზით?

პასუხი: არ შეიძლება. ამისთვის არსებობს გაფრთხილება და ჯარიმები, მაგრამ თუ მათ სისტემატიური ხასიათი აქვს, როგორც მაგალითად ხშირად დაგვიანდება (ათ წუთზე მეტი) ადმინისტრაციას შეუძლია დათხოვნა.

კითხვა: შეიძლება თუ არა ავათმყოფი მუშის დათხოვნა, როცა შტატები მცირდება და უქმდება ავათმყოფი მუშის ან მოსამსახურის თანამდებობა?

პასუხი: სანამ ავათმყოფობა განსაზღვრულ ვადას არ გადასცილდება (ექვს თვეს წელიწადში), მანამ ავათმყოფის შტატ გარეშე დატყვება დაუშვებელია, თუნდაც მისი თანამდებობა გაუქმებული იქნას. აგრეთვე დაუშვებელია ფეხმძიმე ქალთა დათხოვნა.

კითხვა: როცა წარმოება ერთი მეპატრონიდან მეორეს ხელში გადადის?

პასუხი: ასეთ შემთხვევებში მუშა-მოსამსახურენი თავის ადგილზე რჩებიან და წარმოებასთან ერთად ახალ მეპატრონის ხელში გადადიან, განურჩევლათ იმისა კერძოა თუ სახელმწიფო, წარმოება.

ასეთ გადაცემის დროს, ხშირია მაგალითები, როცა ახალი მეპატრონე ცდილობს ძველი მუშები გაუშვას და მისთვის „სასურველი" მომუშავენი მოკრიბოს.

წარმოებასთან გადაცემის დროს გადადის ახალ მეპატრონესთან არა მარტო მომუშავენი, არამედ ყველა ის ვალდებულებანი, რომელნიც მიღებული ჰქონდა ძველ მეპატრონეს თავის მუშებისადმი.

კითხვა: როცა დამქირავებული გარდაიცვლება?

პასუხი: დამქირავებლის გარდაცვალება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოსპობს დადებულ შრომის ვალდებულებებს, თუ დაქირავებულს სამსახური პირადად უნდა გაეწია დამქირავებლისათვის.

კითხვა: რა ჩაითვლება დაქირავებულის სამუშაოზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზათ.

პასუხი: საპატიო მიზეზათ ჩაითვლება: 1) ავათმყოფობა, 2) მიმოსვლის შეწყვეტა, 3) უბედური შემთხვევა, 4) თავისუფლების მოსპობა, 5) მძიმე ავადმყოფობა და სიკვდილი ცოლისა, ქმრისა, მშობლებისა ან შვილებისა, 6) სასამართლოში გაწვევა და 7 სხვა მიზეზი, რომელნიც ხელს შეუშლიან სამუშაოდ მისვლას.

ხ. გ.

(შემდეგი იქნება).

ცეკავშირის მექანიკური სახელოსნო.

ძნელია ახლანდელ პირობებში მუშა-მოსამსახურეებისათვის შრომის ხელფასის თავის დროზე მიუღებლობა. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ მარაგს და კეთილ დროის დანაგროვს მოკლებული მუშა, პირდაპირ შიმშილობს. ამის შესახებ თუმცა არსებობს განსაზღვრული კანონი და შრომის ხელფასის გასტუმრება თვეში ორჯერ უნდა სწარმოებდეს, მაგრამ ბევრი არ ასრულებს ამ კანონს და მათ შორის ცეკავშირი ზემოდ დასახლებულ სახელოსნოს მუშების მიმართ. ეს ვაჟბატონები თავს იმით იმართლებენ, რომ ფული არ გვაქვსო, მაგრამ თუ თვით დასჭირდათ არა მარტო ჯამაგირების, არამედ ავანსების ფულიც არის.

ჩვენც გვაძლევენ, ვითომც, ავანსებს, მაგრამ იმდენად მცირეს რამ ერთ დღეს ძლივს გვყოფნის. ამ სახელოსნოში სხვა მხრივადაც ილახება ჩვენი ინტერესები და კარგი იქნება შემოიხედავდეს ჩვენსკენ შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენელი. კაკონი რისთვის იწერება, თუ მას არავინ შეასრულებს და ან თუ მის შეუსრულებლობის გამო არავის პასუხს არ მოსთხოვენ.

მახლობელი.

მკერავთა შორის.

(ს. მ. უ. ს. სამკერვალო).

ამას წინათ ვწერდით ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. მას შემდეგ ჩვენი გაჭირვება კიდევ უფრო გაიზარდა. ჯამაგირს კვლავ არ ვღებულობთ. გვაძლევენ რაღაც უმნიშვნელო ავანსებს. მიზეზათ ასახელებენ, შემომკვეთლები ფულს არ იძლევიანო. ახლა როგორც გადმოგვცემენ მთლად ქუჩაში გაყრაც მოგველის ბანკს მოუსურვებია ვალებში ასწეროს სახელოსნოს ინვენტარი. მაშინ 1000 მკერავი სრულიად უსაქმოთ და ულუკმო პუროთ დავრჩებით. ჩვენს კავშირს მართებს ამაზე ზრუნვა და ღონისძიების მიღება.

მკერავი.

მუშათა სახლი.

მარტყობის ქუჩაზე № 8 არსებობს მკვებავ მუშათა კავშირის სახლი. სახლს სჭირია რემონტი. უამისოდ სახლი ფუჭდება და იქ ცხოვრებაც შეუძლებელია. ინგრევა კედლები, ჩამოდის წყალი, დგება სინოტივე და სხვა ამ სახლს. თუ ყურადღება არ მიექცა, ის ერთ მშვენიერ დღეს ჩამოინგრევა და იქ მცხოვრებლებსაც მთელი თავისი ქონებით იმსხვერპლებს. საჭიროა, ვისაგინაც ჯერ არს ყურადღება მიექცეს და სახლი იქმნას.

იქ მცხოვრები.

მეფურნეებში მომუშავეთა შორის

ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა შრომის კანონებზე გვერდის ავლა და მათი დარღვევა. ნამეტურ ეს ხდება ფურნეებში. კანონით მუშაობა უნდა იწყებოდეს 6 საათიდან. ფაქტიურათ კი იწყება 4 საათიდან და ზოგან კიდევ უფრო სასურველია შრომის დაცვის განყოფილებამ მაზე მეთვალყურეობა გააძლიეროს, თორემ შრომის კანონებს ყოველგვარი ფასი და მნიშვნელობა დაეკარგება. ამ მხრივ სხვა და სხვა გაზეთებში ბევრი იწერება და შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენლებს მართებთ ამას სათანადო ანგარიში გაუწიონ.

მუშა.

უმუშევართა შორის

გამოკვების კავშირის წევრთა შორის ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან მოიკიდა ფეხი უმუშევრობამ. სასადილოების, და რესტორანების დახურვამ მრავალი მუშა დატოვა ქუჩაში ულუკმა-პუროთ. მათი მდგომარეობა მეტად მძიმე და აუტანელია. წინედ შენაძენი ყოველგვარი მარაგი გამოელიათ და დღეს საშინელ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. დაახლოვებით 6 თვეა რაც ისინი უმუშევრათ და უსაქმოთ არიან. არსაიდან არავითარ დახმარებას არ ღებულობენ. ამ უმუშევრებმა ახლა მიმართეს ს. პ. კ. ს. შრომის დაცვის განყოფილების გამგეს ელბაქიძეს, და სთხოვეს დასვას ს. პ. კ ს. პლენუმზე მათი თვით კავშირსაც მართებს საკითხი. უმუშევრებზე ზრუნვა. სხვა რომ არ იყოს, ერთი—ორი ფასიანი სადამ მაინც გაემართა თავის უმუშევარ წევრების სასარგებლოთ.

ხ. ქ.

ინკვიზიტორი.

ბელინსკის ქუჩაზე არსებობს ოკას ფეხსაცმელეების დამკერებელი სახელოსნო ამ სახელოსნოში სხვათაშორის მუშაობს ერთი მოზარდი მცირე წლოვანი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ არ არის არავითარი შრომის კანონები დაცული, ნამეტურ ამ მოზარდის მიმართ. მეზობლები და შემთხვევით გამვლელი მგზავრები ხშირათ არიან მოწმე ერთი საზიზღარი სცენის. სახელოსნოს უფროსი ხშირათ სცემს მოზარდს. მოზარდი ქუჩაში ყვირილ-ყვირილით გამორბის. მას თან მოსდევს მისი უფროსი. დაიჭერს ქუჩაში და მთელი ხალხის წინაშე დაუნდობლათ სცემს. ბავშვის ტირილსა და ბღავილს საზღვარი არა აქვს. ეს ხდება სისტემატიურათ და თითქმის ყოველ დღე. რამდენჯერმე ამის მოწამე პირადათ მეც ვიყავი. სხვებმა გადმომცეს, რომ ეს ჩვეულებრივი და ყოველ დღიური მოვლენააო. როდესაც შემთხვევითი გამვლელები შეეკამათენ ვაჟბატონ ინკვიზიტორს, ის ერთობ გაბრაზდა და ამ შემკამათებელ ხალხს დაუწყო უშვერი ლანძღვა-გინება. სხვათა შორის ერთხელ ამიტომ სცემა, რომ ნაყიდ პურზე ნაჭერი იყო და შეგიჭამიაო. სასურველია შრომის დაცვის განყოფილება ამ გარემოებას მიაქცევდეს სათანადო ყურადღებას და დროით აღაგმავდეს და სასტიკათ დასჯიდეს ხსენებულ ინკვიზიტორ ვაჟბატონს.

გამვლელი.

მიხეილის საავადმყოფოდან

(პასუხი).

გაზეთ კომუნისტში მოთავსებულ წერილია გამო: „უწესრიგობა მიხეილის საავადმყოფოში" (№ 153 ა. წ. 7 ივლისი). ჯანსახკომის საორგანიზაციო განყოფილება გაცნობებთ შემდეგს:

უკვე 30 წარსულ ივნისს მოქ. ბოიადჟიანის განცხადების გამო, რომელიც შემოვიდა დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილებაში, ჯანსახკომმა დანიშნა გამოძიება, რომელიც შემდეგ განმეორებული იყო ექიმების კომისიის მიერ. ამ კომისიაში შედიოდა სპეციალური წარმომადგენელი სამკურნალ. ქვე-განყოფილების, როგორც მუშათა ორგანიზაციისა. შედეგები ამ გამოძიებისა და დასკვნა კომისიისა არის შემდეგი: მოქ. ბოიადჟიანის საჩივარი იმაზე, რომ მისი ავადმყოფი დედა იმყოფებოდა საავადმყოფოში სრულიად უყურადღებოდ და მოუვლელად, რის გამო იმის ავადმყოფობა გაზვიადდა და მიიღო ცუდი მსვლელობა-სინამდვილეს არ შეეფერება. მოქ. ბოიადჟიანი იყო დაავადებული განსაკუთრებული მძიმე, ქრონიკული, მოურჩენელი ავადმყოფობით და ექიმობა ამ შემთხვევაში ვერ აღწევდა თავის პირდაპირ მიზანს, განკურნებას, არამედ ძალაუნებურათ თავდებოდა სიმპტომატიური წამლობით და მოვლით, რომელსაც მიზანშეწონილათ ნიშნავდნენ ექიმები და სავსებით ასრულებდა საშუალო და უნცროსი პერსონალი. საექიმო მოვლა მოქ. ბოიადჟიანის კომისიის მიერ ცნობილია საერთოდ დამაკმაყოფილებლათ, ავადმყოფობის გამხელება კი შედეგი იყო თვით სნეულების პროგრესიული ხასიათისა.

ავადმყოფ ბოიადჟიანის უიმედო მდგომარეობაზედ ექიმები არა ერთხელ უთითებდნენ მის შვილს, მოქ. ბოიადჟიანს, და მასთან ერთათ წინადადებას აძლევდნენ ავადმყოფი გაეწერათ, რადგანაც ამას მოითხოვენ საავადმყოფოს დებულებანი, რომელთა ძალით ქრონიკული ავადმყოფების მოთავსება რესპ. მთავარ საავადმყოფოში აკრძალულია. მათ უნდა მიეცეთ დასვენება ან სახლშივე ან სპეციალურ დაწესებულებებში. აგრეთვე არ დამტკიცდა გამოძიებით მოწყ. დის ეშქოიანის ლის უხეშათ და უყურადღებოდ მოპყრობა ავადმყოფისადმი. კომისიას არ აქვს არც ერთი მოწმის (მათ შორის ავადმყოფების) განცხადება ამ მხრივ და პირიქით არის ჩვენებები, რომ მოწყ. და ეოქომაიშვილი ავადმყოფებს კარგათ ეპყრობოდა. დასასრულ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი არ უარყოფს, რომ მის დაწესებულებებში აქვს ადგილი სხვადასხვა დეფექტებს, რომელთა წინააღმდეგ ის შეძლებისამებრ ეწევა ბრძოლას და თავის ამ მოქმედებაში ჯ. ს. კომი მადლობით მიიღებს ყოველგვარ დახმარებას პრესის თუ სხვა სათანადო ორგანოების მხრივ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილება.

წერილი რკინის გზის მუშებისაგან

3 ივლისს იყო გამოცხადებული, რომ 4 ივლისს თავი მოგვეყარა თბილისის სადგურზე ყველა იმ მუშებს, რომელიც უნდა გამგზავრებულიყვენ ცაგვერში მუშათა დასასვენებელ სახლში. ჩვენც რასაკვირველია 4 ივლისს გამოვცხადდით სადგურზე, სადაც შეგვხვდა თბ. რაიონის რკინის გზელთა კავშირის წარმომადგენელი ამხან. ხუბოვი, გვიჩვენა ჩვენთვის დანიშნული ვაგონი, მოგვათავსა შიგ და თვითონაც წამოვიდა ჩვენთან ერთად. ბორჯომში ჩავედით საღამოს 11 საათზე. ჩვენ გადავწყვიტეთ მისვლისთანავე წავსულიყავით ცაგვერში მაგრამ ამხ. ხუბოვი არ დაგვეთანხმა გვირჩია არ წავსულიყავით რადგანაც ძლიერ სიცივე იქნებოდა ცაგვერშიო ჩვენც დავთანხმდით ამხ. ხუბოვის რჩევაზე და დილით კი გავეშურეთ ცაგვერისაკენ. მისვლისთანავე ცოტა დავისვენეთ. შემდეგ ამხ. ხუბოვმა დაიწყო მოთავსება ოთახში ყველა ამხანაგების და მასთან ერთათ შეუდგა ყოველივე იმის მოცემას, რაც ავადმყოფების ხვედრია. შემდეგ ამისა ჩვენ ვთხოვეთ ამხ. ხუბოვს გაეცნო ჩვენთვის ცემის მდებარეობა. რაც ამხ. ხუბოვი სიამოვნებით გვისრულებს. და გვაცნობს იმ ბუნებას რომლითაც ცაგვერი მდიდარი არის. ამით ჩვენ დიდი კმაყოფილი დავრჩით ამხ. ხუბოვის.

მხურვალე სალამი ამხანაგ ხუბოვს ყოველივე ასეთი ამხანაგური დამოკიდებულებისათვის მასთან ერთათ მუშათა დასასვენებელ სახლის მუშა ყველა ორგანიზატორებს.

რ. მანდრიცკი, მჟავანაძე.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

ულუფის დარიგების წესები:

სახალხო სასურსათო კომისარიატისადმი გამოცემულ ბრძანებით როგორც ამ კომისარიატის, ისე სხვა კომისარიატების თანამშრომელთა ჯამაგირიდან აუცილებლად უნდა დაუჭირონ ღირებულება იმ პროდუქტებისა და პურისა, რომელიც ფაქტიურად ეძლევათ.

სახალხო სასურსათო კომისარიტის ოფიციალურ განმარტებით ღირებულება ივნისის ულუფისა, რომელიც ახლა უნდა მიეცეთ, მტკიცედ განსაზღვრულია. აგრეთვე გამორკვეულია ისიც, თუ რა და რა პროდუქტი უნდა დარიგდეს. ივნისის ულუფის ანგარიშში მუშა-მოსამსახურეებს მიეცემათ შემდეგი პროდუქტები:

შაქარი	—	1	გირ.	17 000 მ.
ჩაი	—	¼	„	17.000 მ.
ლობიო	—	5	„	40.000 მ.
მარილი	—	3	„	3.000 მ.
ბრინჯი	—	3	„	45 000 მ.
			სულ	122.000 მ.

ამ ჯამის გარდა მუშა-მოსამსახურეებს უნდა გამოერიცხოთ ჯამაგირიდან პურის ღირებულება იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენ გირვანქა პურს იღებს. ფასი ასეთია:

რაციონი	1 გ.	—	30 გირვ.	—	210.000 მან.	სულ	332.000 მ.
„	1 ნახ.	—	45 „	—	315.000 მან.	სულ	437.000 მ.
„	2 გ.	—	60 „	—	420.000 მან.	სულ	542.000 მ.
„	2 ნახ.	—	75 „	—	525.000 მან.	სულ	647.000 მ.

აი მთელი ის ჯამი, რომელიც ივნისის ულუფაში აუცილებლად უნდა გამოურიცხონ ჯამაგირიდან ყველა დაწესებულებებმა და წარმოებებმა. მომავალში სახალხო სასურსათო კომისარიატი წინასწარ აცნობებს სახალხო კომისარიატებს, როგორც თვითეულ თვის ულუფის ღირებულების რომელიც მოსამსახურეებს უნდა გამოერიცხოთ ჯამაგირიდან, ისე იმას, თუ რომელ თვეში რა პროდუქტები დარიგდება.

მატყლის დამზადება

სრულიად საქართველოს მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი" უკვე შეუდგა მატყლის ფართო სახელმწიფოებრივ დამზადებას მთელს რესპუბლიკაში თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულებისა. საჭირო კრედიტი ოპერაციების საწარმოებლად უკვე გახსნილი აქვს სახალხო ბანკში. მიღებულია ზომები იმათ წინააღმდეგ, რომელნიც მატყლის ფარულ შესყიდვას აწარმოებენ. „მწყემსი" უკვე შეუდგა იმის ცნობების შეკრებას, ვის რამდენი და რა ღირსების მატყლი აქვს. ვინც „მწყემს" სწორე ცნობებს არ წარუდგენს, სამართალში იქნება მიცემული და მატყლი კონფისკაციის წესით ჩამოერთმევა.

სასურსათო გადასახადის მთავარი ინსპექტორი.

1922—1923 წლის ნატურალურ გადასახადის კამპანიის სასურველათ ჩატარების მიზნით სახალხო სასურსათო კომისარიატმა ახალი თანამდებობა შექმნა—ნატურ გადასახადის მთავარ ინსპექტორისა, რომელიც ცენტრიდან ხელმძღვანელობას გაუწევს მთელს საგადასახადო საქმეს და დრო გამოშვებით ადგილებსაც მოივლის მუშაობის ფაქტიურად შესამოწმებლად და ამ მუშაობისთვის გარკვეულ მიმართულების მისაცემად, თანახმად მისთვის მინიჭებულ ფართო უფლებებისა. ამ თანამდებობაზე მიწვეულ იქმნა ამხ. ერმოლოზ გიორგის ძე დიდიძე, რომელიც ამავე დროს დაინიშნა სახალხო სასურსათო კომისარიატის საინსტრუქტორო განყოფილების უფროსად.

ქრონიკა

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

◆ **სატყეო კონცესია.** საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს და გადასცეს დასკვნისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს, განცხადება ნორვეგიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის საბჭოთა რუსეთში, ბათომის და სოხუმის რაიონებში სატყეო კონცესიების მიცემის შესახებ.

◆ **ნატანების ხე-ტყის ქარხანა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ნატანების ხე-ტყის ქარხნის მისთვის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ აღნიშნული ქარხანა ითვლება, მსხვილ და კარგად მოწყობილ წარმოებათ, რომელიც ემსახურება მთელი რესპუბლიკის ინტერესებს, და რომ მისი ექსპლოატაციისათვის საჭიროა დიდი თანხები და ხე-ტყის დასამზადებელი ოპერაციების რთული ორგანიზაცია, რო-

მელსაც თავს ვერ გაართმევს ოზურგეთის აღმასკომი დაადგინონ სცნონ მიზან შეუწონლად ამ ქარხნის სახალხო მეურნეობის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს განკარგულებიდან გამორიცხვა.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში

◆ **საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ წარმომადგენლად თურქესტანში,** ხივაში და ბუხარაში დანიშნულია ამხ. გიგინეიშვილი ხოლო მის თანაშემწედ—ამხ. დუმბაძე. ამხ. გიგინეიშვილს წინადადება მიეცა აწარმოვოს მოლაპარაკება საქართველოს ეკონომიურ სახალხო კომისარიატებთან, წარმომადგენლობისათვის საჭირო საბრუნავ საშუალებების შესაძენად.

◆ **დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.** სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისრის მოხსენების გამო, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს სამხედრო მოსამსახურეებს ავადმყოფობის და სხვა ამ გვარ შემთხვევებში დახმარება ფულით, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ ნორმის მიხედვით.

◆ **სესხი განათლების სახალხო კომისარიატს.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სახალხო ბანკს, მისცეს განათლების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადით სესხი 1,200 მილ. მან. რაოდენობით, კინო-წარმოების საჭიროებისათვის.

◆ **პოლონური მუშათა კლუბი.** პოლონურ მუშათა კლუბის გამგეობის შუამდგომლობით დაადგინეს მიეცეს უკანასკნელს—25 მილ. მანეთი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თანხიდან.

◆ **ძვირფასი ლითონები და ვალიუტა.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია დადგენილება რესპუბლიკაში ოქროს, ვერცხლის, პლატინის, ძვირფასი ქვების და უცხოეთის ვალიუტის თავისუფალი ტრიალის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მოღვაწეობა ივნისის თვის განმავლობაში*)

გარდა ამისა ეწყობოდა მიტინგები. I რაიონში გაიმართა მიტინგ მოხსენება მდივანის გენუის კონფერენციის შესახებ, რომელსაც დაესწრო 2,000 კაცი; აგრეთვე მიტინგი I რაიონში მენშევიკების პროვოკაციის შესახებ, რომელსაც 300 კაცი დაესწრო და დასასრულ მე-III რაიონში გამართული მიტინგი-მოხსენება მდივანისა გენუის კონფერენციის შესახებ, რომელსაც დაესწრო 100 კაცი.

თბილისის ორგანიზაციაში არსებობს 5 პარტიული სკოლა, მეექვსე, ქართული, თვის დასასრულში დათხოვნილ იქნა, რათა რეორგანიზაცია იქნეს მასი მოხდენილი. სკოლების პროგრამა აღნიშნული იყო მაისის თვის ანგარიშში. პარტიული ორგანიზაციისათვის ლიტერატურის მიწოდება ივნისის გამავლობაში ნორმალურად მიმდინარეობდა. გავრცელებულ იქნა: რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერ კავკასიის რაიკომის უწყებები 150 ეგზემპლიარი, 2. „კავკაზსკი რაბოჩი“ 150 ეგზემპ., 3. მე-XI ყრილობა 150 ეგზემპ., 4. ამ. ფ. მახარაძის—„ახალი ეკონომიური პოლიტიკა“—400 ეგზემპ., 5. ტროცკის წიგნი 300 ეგზემპ., 6. ბუხარინის — „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“—60 ეგზემპ., 7. ფურცლები: თბილისის კომიტეტის ნაკაზი, თბილისის კომიტეტის თეზისები არჩევნებისათვის, თბილისის კომიტეტის მოწოდება, კომინტერნის მოწოდება მუშებისადმი ყველა ქვეყნისა, სულ 16,000 ცალი.

ახალგაზდობის შორის მუშაობა ივნისში ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. თბილისის კომიტეტი სავსებით ანხორციელებს საქართველოს კომუნისტური ახალგაზდობის კავშირის მუშაობის ხელმძღვანელობას. მოწესრიგებულია აგრეთვე კომუნისტური ახალგაზდობის კავშირის ურთიერთობა საქართველოს კომპარტიასთან.

პარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ კომუნისტური ახალგაზდობის თბილისის კომიტეტთან ერთად შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ზომებისა კომუნისტურ ახალგაზდობის კავშირთან ურთიერთობის სავსებით განსახორციელებლად.

ამ დებულებებში გამორკვეულია ორგანიზაციული კავშირის გეგმა და აგრეთვე სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ ახალგაზდობის კავშირში მუშაობის ხელმძღვანელობის გეგმა. დასახული ზომები სავსებით ვერ იქნა განხორციელებული ივნისის განმავლობაში, მაგრამ კომუნისტური ახალგაზდობის კავშირთან ურთიერთობა მაინც მოწესრიგებულად შეიძლება ჩაითვალოს. მუშაობა მიმდინარეობს სრული კონტაქტით და ხელმძღვანელ წრეებს შორის არავითარი წინააღმდეგობანი არ არსებობს. იყო ზოგიერთი გაუგებრობის შემთხვევები ადგილობრივ, იაჩეიკებში, მაგრამ ამ ჟამად ასეთები აღარ არის. ივნისის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა პროფ კავშირებში. რაიკომებს აქვთ ძლიერი გავლენა ამა თუ იმ რაიონში არსებულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პროფ-კავშირზე, მაგალითად.

1-ლ რაიონს—რკინის გზელთა სარაიონო პროფ კავშირზე.

2-რე რაიონს—„კვება გემოს“, ტრანსპორტისა და მელითონეთა პროფკავშირზე.

მე-3 რაიონს—მეტყავეთა და „კვება-გემოს“ პროფ-კავშირზე.

მე 4 რაიონს — მებეჭდავთა პროფკავშირზე.

თბილისის კომიტეტს ამდენხანს სუსტი გავლენა ქონდა პროფკავშირების მუშაობაზე, საანგარიშო თვის განმავლობაში თბილისის კომიტეტმა მიაქცია ამას სერიოზული ყურადღება, შემუშავებულ იქნა გეგმა პარტ-ორგანიზაციების პროფ-კავშირებთან კავშირის შესახებ, რომელიც ამ ჟამად თანდათანობით ტარდება ცხოვრებაში. კავშირების ფრაქციები დღევანდლამდის თითქმის დამოუკიდებლათ მუშაობდენ და თბილისის კომიტეტი არავითარ გავლენას არ ახდენდა მათ მუშაობაზე. თბილისის კომიტეტმა ამასაც მიაქცია ყურადღება და ფრაქციები მომავალში ყოველთვიურად უდგენენ თბილისის კომიტეტს ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ.

ადგილობრივ ფაბ კომები და ადგილ-კომები მუშაობენ კონტაქტში კომიაჩეიკებთან. საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში თბილისის ორგანიზაციას პატარა საქმე არ გაუკეთებია. ივნისში მოხდა თბილისის საბჭოს ხელ-ახალი არჩევნები, რომელმაც დიდი უმრავლესობა არგუნა, რასაკვირველია კომუნისტებს. ამ ხელ-ახალი არჩევნების მუშაობა ჩატარებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ თბილისის ორგანიზაციის ძალებით, საბჭოს ხელახალი არჩევნები და საბჭოში პასუხისმგებელ მომუშავეთა შორის მომხდარი ახალი ცვლილების გამო, შეუძლებელია გამოვაშუქოთ საკითხი აღმასკომის შემადგენლობისა და განყოფილებათა გამგეების შესახებ და აგრეთვე საკითხი აღმასკომის ფრაქციის მუშაობის შესახებ, ვინაიდან საანგარიშო თვის განმავლობაში მას თითქმის არაფერი გაუკეთებია.

საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში რაიკომების მუშაობა, გარდა საბჭოთა ხელ-ახალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, გამოიხატა აგრეთვე საბჭოთა დაწესებულების მუშაობის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაში. ამ მიზნით რაიკომებისა, დელეგატების ყრილობისა და პასუხისმგებელ მუშაკთა კრებებზე იმართება მოხსენებები სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებისა, სწარმოებდა მუშაობის საქმიანი ხასიათის კრიტიკა და ეძლეოდათ მათ სათანადო ინსტრუქციები მომავალი მუშაობისათვის. თბილისის კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობა მიმდინარეობდა პარტიული გავლენის გარეშე, გარდა ორი კოოპერატიული ორგანიზაციისა—მუშათა კოოპერატივებისა და სატრანსპორტო მოხმარებელთა საზოგადოებისა, რომელთა მუშაობასაც ხელმძღვანელობენ რაიკომები. ამით კოოპერატიული ორგანიზაციების გამგეობა თითქმის კომუნისტებისაგან შესდგება. დანარჩენ კოოპერატიულ ორგანიზაციათა შემადგენლობა ჯერ გამოურკვეველია.

საანგარიშო თვის განმავლობაში თბილისის კომიტეტმა მიიღო ზომები კოოპერაციაში მუშაობის გასაძლიერებლად და ამ მიზნით დაარსებული იქნა სპეციალური საკოოპერაციო, 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომლის უმთავრესი და პირდაპირი მიზანიც არის მთელი რიგი ისეთი პრაქტიკული ზომებისა და ღონისძიებათა შემუშავება, რომელიც გააძლიერებს სამოქალაქო კოოპერაციის მუშაობას და აგრეთვე ხელმძღვანელობა კოოპერაციის მუშაობისა და კოოპერატივების საარჩევნო წინასწარი კამპანიის გაძღოლა. რაში გამოიხატა ამ კომისიის მუშაობა და მოგვცა თუ არა მან რაიმე ნაყოფი ჯერ-ჯერობით არ შეიძლება ითქვას, რადგანაც მისი მუშაობის დაწყებიდან ძალიან პატარა დრო გავიდა.

თბილისის ორგანიზაციის საორგანიზაციო კავშირი სამხედრო ორგანიზაციებთან შეიძლება ჩავთვალოთ მოწესრიგებულად. თბილისის კომიტეტს აქვს კავშირი ხელმძღვანელ სამხედრო პოლიტიკურ ორგანოსთან (კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური მმართველობა): ამ ორგანოთა შორის არსებობს ნორმალური ურთიერთობა და სრული კონტაქტი მუშაობაში.

კონკრეტიულად ეს კავშირი გამოიხატება ურთიერთ წარმომადგენლობაში და შეერთებული ძალებით ზოგიერთი სააგიტაციო კამპანიის ჩატარებაში. რაიონებში კი ეს კავშირი გამოიხატება სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების შეერთებულ კრებებში.

ივნისში არ ყოფილა წარმოებული სპეციალური მუშაობა წითელ არმიელთა წრეში.

სატრანსპორტო დარგში მუშაობის საწარმოებლად და სატრანსპორტო კომიაჩეიკების მუშაობის სახელმძღვანელოდ თბილისის კომიტეტმა შექმნა სპეციალური სატრანსპორტო ქვეგანყოფილება. მაგრამ ამ მუშაობას უმთავრესად აწარმოებს პირველი რაიკომი, რომლის ტერიტორიაზეც არსებობენ სატრანსპორტო პარტიული იაჩეიკები. ის ზომები, რომელიც მიღებული იყო იაჩეიკების გასაძლიერებლად აღნიშნულია ამ ანგარიშის დასაწყისში. ტრანსპორტის მუშაობის გასაძლიერებლად სპეციალური კამპანია არ ყოფილა მოწყობილი, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველი რაიკომი ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს რკინის გზის ადმინისტრაციის ორგანოების მუშაობას. იმართება სამსახურის კომისრების თათბირები, რაიკომის კრებებზე იმართება მოხსენებები რკინის გზის სამმართველოს წარმომადგენლისა და სხვ. ერთი სიტყვით რაიკომი აწარმოებს მუდმივსა და სასტიკ თვალყურის დევნებას ტრანსპორტის მუშაობის მსვლელობაზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების ივნისის თვის მუშაობის ანგარიში.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება ივნისის განმავლობაში მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით:

ქალთა განყოფილების გამგე ამხ. გასვიანი.
„ „ მოადგ. ამხ. მჭედლაძე.
1-ლი რაიონ. ინსტრ. ამხ. ბიბინეიშვილი.
2 რე „ „ ამხ. კამალოვა.
3 მე „ „ ამხ. ესაიანი და გარმალაჯევა.
4 ხე „ „ ამხ. მინასიანი.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების მუშაობა ივნისის განმავლობაში, უეჭველად, გაძლიერდა, ქალთა განყოფილების კრებებზე მუშაქალთა დასწრება გადიდდა.

ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა მუშაობის გეგმა, რომელიც დადასტურებულ იქნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროსა და პლენუმისაგან.

ივნისში გამართულ იქნა ქალთა ფართო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 450 ქალი და რომელიც ჩატარდა იშვიათი აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით. კონფერენციის დღიური წესრიგი შემდეგი იყო:

1. მიმდინარე მომენტი—მომხს. ამხ. კახიანისა.
2. ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობის შესახებ—მომხს. ამხ. ცეიტლინისა.
3. ქალი წარსულში, დღეს და მომავალში—მომხს. ამხ. მაიროვისსა.

ქართულ ენაზე პირველი მოხსენება წაიკითხა ამხანაგმა ბიბინეიშვილმა, ხოლო ორი შემდეგი ამხ. გასვიანმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უკანასკნელმა მოხსენებამ, რომლის განმეორებასაც შემდეგ ბევრ ადგილას თხოულობდენ.

ლამაზი და გულწრფელი შეხვედრა გაუკეთეს ამხ. მაიროვას. მუშა ქალები ქართულ და რუსულ ენაზე ითხოვდენ გადაეცათ მათი სალამი რუსეთის მუშა ქალებისათვის.

კავშირი იაჩეიკების ორგანიზატორებთან.

ქალთა განყოფილებამ მოაწყო ორი საქალაქო კრება იაჩეიკების ორგანიზატორებისა შემდეგი საკითხების შესახებ.

1. იაჩეიკების ორგანიზატორების მიზნები—ამხ მაიროვას მოხსენება.
2. პროფესიონალური ხაზის მიხედვით იაჩეიკების ორგანიზატორების მუშაობის შესახებ,—მოხსენება ამხ. ალექსანდროვისა.
3. დედობისა და ბავშვობის დაცვა—მოხ. ამხ. ალტშულლერისა.
4. მიმდინარე საკითხები. (გადაწყვეტილი იქნა 7 ადგილობრივი ხასიათის საკითხი).

სულ გარჩეულ იქნა 10 საკითხი.

ზოგიერთ რაიონებში მოხდა თითო-თითო კრება იაჩეიკების ორგანიზატორებისა (რაიონული), სადაც აგრეთვე იმართებოდა მოხსენებები ადგილებიდან.

ინსტრუქციებისა და თეზისების შესახებ.

ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა და დაგზავნა ინსტრუქციები იაჩეიკების ორგანიზატორებისა და აგრეთვე დაგზავნილ იქნა ორგანიზაციებში იაჩეიკების ორგანიზატორებისათვის ინსტრუქციები პროფესიონალურ ორგანოებში მუშაობის საწარმოებლად.

შემუშავებულ იქნა და დაგზავნილი თეზისები დედობისა და ბავშვობის დაცვის შესახებ.

რაიონულ ორგანიზატორების ხელმძღვანელობა.

წარსული თვის განმავლობაში გაიმართა ორგანიზატორების 3 კრება. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, პოლიტიკური წრეები, კონფერენცია, იაჩეიკების ორგანიზატორების შექმნა, წარმოებებში მორიგი კამპანიის ჩატარება, მომავალი მუშაობის გეგმა, საბჭოს არჩევნები, ფაბკომების, საქარხნო კომიტეტების და ადგილ კომების არჩევნები, დელეგატების ყრილობა და სხვ.

სულ განხილულ იქნა 30 საკითხი.

სააგიტაციო მუშაობა.

ჩატარებულ იქნა შემდეგი კამპანია:

გენუის შედეგები და მენშევიკების პროვოკაცია.

ესერების გასამართლება.

ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობის შედეგები.

ქალი წარსულში დღეს და მომავალში.

ადგილ-კომებისა და ფაბკომების არჩევნები.

საბჭოს არჩევნები.

გამართულ იქნა საერთო კრება:

1 რაიონში — — — 10—ჯერ.
მე-2-ე რაიონში — 15— „
მე-3-ე რაიონში — 26— „
მე 4-ე რაიონში — 17— „

სულ 70 კრება იქნა გამართული.

ბრძოლა უმუშევრობასთან.

ქალთა განყოფილებამ მოაწესრიგა მჭიდრო კავშირი შრომის სახალხო კომისარიატთან. ქალთა განყოფილების გამგე შედის არტელების მომწყობ ბიუროში. შეთანხმებულად მუშავდება ზომები უმუშევრობასთან საბრძოლველი ფონდის შესაქმნელად. (იმართება სეირნობა, კონცერტები და სხვ.).

1 რაიონში მოწყობილ იქნა მკერავთა არტელი 28 სულისათვის.

ადგილ-კომებისა და ფაბ-კომების არჩევნების კამპანია.

პროფ-კავშირთა საბჭოს საშვალებით—ქალთა შორის მუშაობის ორგანიზატორებს დაეგზავნათ ცირკულიარი ადგილ კომებში, ფაბ კომებში და სხვადასხვა კომისიებში ქალთა არჩევის აუცილებლობის შესახებ, ეს კამპანია ბრწყინვალეთ ჩატარდა. არ დარჩენილა არც ერთი ადგილკომი, სადაც ქალი არ იყვეს არჩეული. ამგვარადვე არჩეულია ქალები სხვა და სხვა კომისიებშიდაც.

საბჭოს არჩევნების კამპანია.

საბჭოს არჩევნების კამპანიაც ძალიან კარგათ იქნა ჩატარებული.

არჩეულ იქნა:

1 რაიონში — — — 4 ქალი.
მე-2-ე რაიონში — 16 ქალი.
მე 3-ე რაიონში — 11 ქალი.
მე 4-ე რაიონში — 14 ქალი.
არმიიდან — — — 3 ქალი.
სულ 48 ქალი.

აღმასკომში არჩეულ იქნა ერთი ქალი.

თბილისის კომიტეტის მდივანი
კახიანი.

ქალთა განყოფილების გამგე
გასვიანი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 162.

პროვინციაში

წაღვერის სატყეო სკოლა

(შთაბეჭდილება)

პატარა, ლამაზ, ცელქ გიჟ მდინარის ხეობის ერთ კოხტა ფიჭვ-ნაძვნარით დაბურულ გორაკზე აშენებულია წაღვერის სატყეო სკოლა. მკურნავი წყლები, გიჟაი ბუნება, წვეტებიანი ხეების სურნელება ამ ქვეყნიურ ედემად ხდის წაღვერს. მომაკვდავს იმედი გეძლევა, ღონე მატება, სასო წარკვეთილს იმედობა გამშვიდებს, სიტკბოების ნექტარს გწვდის და თითქო ასე გეუბნება: ბუნებას მეფევ, საბრალო ადამიანო, ქალაქის მოშხამულ ჰაერს, მოუსვენარს, ნერვიულ ცხოვრებას შენ დაუცხარ, დაუჯაბნებიხარ, სიცოცხლის წართმევა მოუნდომებია.. თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკალი გაგქრობია; რა საცოდავად გიცემს გული, ჩონჩხსა გევხარ, გაყვითლებული, გაფითრებული!. იყავ ჩემთან, ისუნთქე ჩემით, დაისვენე, გწამდეს ჩემი ძალა, მე შენგან მიმავალ სიცოცხლეს დაგიბრუნებ, გაგკურნავ, მოგცემ უნარს საამქვეყნო მუშაობისას!..

გიხარიან.. იმედი გეძლევა და საამოდ გიძგერს გული. გიყვარს წაღვერი... უყვარდა აწ განსვენებულ არჯევანიძესაც, ესმოდა მისი მნიშვნელობა, ძალა და... საქართველოში პირველმა მან ააგო სატყეო სკოლა, მსგავსად გერმანიისა, შვეიცარიისა და სხვა განათლებულ ხალხთა გეგმისა.

უყურადღებობამ, სიღარიბემ გააყიდია თავისი ნამაგირი და მას შემდეგ ტფილისი შეიქნა ხსენებული სკოლის პატრონი. პირველი სამი წელი კიდევ იარსება და 1921 წელს საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილების გამო დროებით შეწყდა მისი მაჯის ცემა.

წელს კი, ქალაქის სახ. განათლების განყოფილების ინსტრუქტორ ჯაფარიძის მოხსენებით, ტფილისი კვლავ დაეპატრონა თავის სკოლას და.—ფიჭვ ნაძვნარით დაფენილი გორაკი გაივსო მერცხლებით, ჩვენი პატარა ბავშვებით... მძიმე პირობებში მყოფ მასწავლებელთა შვილები, სამწუხაროდ, ადრე მწიფდებიან. ხუცდებიან, ჭკვიანდებიან, ეგ კი არ არის კარგი. ბავშვი ბავშვობას ვერ იცდის, მის სახლში მუდამ ტირილია, ჩივილი უპურობაზე, სიტიტვლეზე!.. წაღვერში კი, სადაც ტფილ. სახ. განათ. განყოფილების თაოსნობით და ხარჯით გაიგზავნენ მასწავლებელთა შვილები,—უხვად არის რძე, კარაქი, კვერცხი, ყველი, თეთრი პური, მაწონი... ბავშვები ბავშვობენ, ცელქობენ, დახტიან, ხატავენ მღერიან, მზის ვანებს ღებულობენ, მკურნავ წყლებს ეწაფებიან, ვარჯიშობენ, ჭიკჭიკობენ... ცა ქუდათ არ მიაჩნიათ, და დედა მიწა ქალამნათ! აქეც უნდა არ არის საჭირო მათი პაწია გონება სხვა რამეთი დავამძიმოთ...

მადლობა ტფილისის სახალხო განათლების განყ. უფროსს ლ. ზ. რუხაძეს. რომელიც ამ სკოლას დიდ ყურადღებას აქცევს.

მადლობა სკოლის ხელმძღვანელს ამხ. ქარუმიძეს და მთელს შტატს ბავშვთა მომვლელებისას. სალამი მერცხლებს!

პედაგოგი.

მონადირეების მოქმედებანი და განკარგულებანი

წესები ნადირობის წარმოებისა საქართველოს რესპუბლიკაში (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრძანება 1922 წ. 15 ივლისის თარიღით № 5079).

1) რესპუბლიკის ფარგლებში ნადირობის დროს ყველამ მონადირემ უნდა იქონიოს თავისთან ხსენებულ დეკრეტის მე-7 მუხლში აღნიშნული საწევრო ბილეთი იმ პირთათვის წარსადგენად, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ სანადირო წესების ასრულებას, სახელდობრ: სატყეო მოხელეებისათვის, მილიციისა და საქართველოს გაერთიანებულ მონადირეთა წევრების და უფლებით აღჭურვილ პირთათვის.

2) აღნიშნული წესების დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, თანახმად ნადირობის შესახებ დეკრეტის მე 10 მუხლისა.

3) ძვირფასი და იშვიათი ჯიშის ნადირების დასაცავად და საერთოდ მარგებელ ნადირების და ფრინველების შესანახად მომრავლების დროს ნადირობა აკრძალულია:

1. დომბებზე, ირმების, არჩვების, ნიამორების და მშველების დედლებზე და მათ ხბო-ნუკრებზე და აგრეთვე მთელი წლის თეთრი ბაყაყ-ქამიაზე განმავლობაში.

შენიშვნა: მთელი წლიური მონაგები ითვლება ხბო-ნუკრებთან იმავ წლის 31-დეკემბრამდე.

2) მამალ ირმებზე, ჯეირანებზე და გარეულ ღორებზე 1 მარტიდან 1 სექტემბრამდე.

3. მშველთა მამლებზე 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე.

4. ჯიხვებისა, არჩვების და მთის სხვა თხათა მამლებზე 1-ლ დეკემბრიდან 1-ლ აგვისტომდე.

5. ტყის ქათმებზე (ვალდშნეპი) 1-ლ მაისიდან 1 ლ სექტემბრამდე.

6. ბატსა და გედებზე 1-ლ აპრილიდან 1-ლ სექტემბრამდე.

7. ყველა ჯიშის იხვებზე, საკათებზე (დროფი) და ხარსარაფებზე (სტრეპეტ) 1-ლ აპრილიდან 1 ლ აგვისტომდე.

8. წინტალსა (ბეკასი), დუპლებსა, ტუსუხტანებზე, წყლის ქათმებზე ყველა ჯიშისა, ჩიბისებზე, ღალღებზე (კორონსტელი) და წყლის თუ ჭაობის სხვა ფრინველებზე 1-ლ აპრილიდან 1-ლ აგვისტომდე.

9. გნოლებზე, კაკბებზე, და კურდღლებზე—1 თებერვლიდან—1 სექტემბრამდე.

10. თურაჯებზე—15 იანვრიდან 15-ნოემბრამდე.

11. ხოხბებზე —1 თებერვლიდან 1-ოქტომბრამდე.

12. შურთხებზე, სოჭოებზე და აგრეთვე მწყერებზე 1-ლ მარტიდან 1-ლ აგვისტომდე.

13. დანარჩენ სხვა ნადირსა და ფრინველებზე, გარდა მტაცებელ მავნებელთა—1-მარტიდან 1-აგვისტომდე.

4) აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში ყოველივე საშვალებით დაჭერა: გნოლებისა, კაკბებისა, თურაჯისა, ხოხობისა, აგრეთვე აკრძალულია ბუდის დაშლა და იქიდან ამოღება ყოველგვარ ბარტყებისა (გარდა მტაცებელ) და კვერცხებისა და საზოგადოთ აკრძალულია ნადირის მასიური განადგურება.

5) გარეულ ნადირს ეკუთვნის: ვეფხვი, დათვი, აფთარი, მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, ქრცხვინი, დედოფალა, წავი, კვერნი, ფოცხვერი და გარეული კატა; მტაცებელ და მავნებელ ფრინველებს ეკუთვნიან:

არწივი, სვავი, ფასკუნჯი, მიმინო, ქორი, გავაზი, შევარდენი, ყორანი, კაჭკაჭი, ყვავი ხაურ-კაჭკაჭი, ბუ, ბელურა და სხვა.

შენიშვნა: სახნავ მიწებზე, ბოსტნებში, ბაღებში პატრონის ნებადართვით შეიძლება მთელი წლის განმავლობაში გარეული ღორის და კურდღლების მოსპობა.

6) მონადირეთ ნება აქვთ უთოფოთ მეძებარ და ნადირის მიმდევარ ძაღლების დაგეშვა იმ დროშიც, როცა ნადირობა აკრძალულია.

7) საქართველოს მონადირეთა კავშირს ნება ეძლევა: 1) დააწესოს ზომა, რომლის ზევით არ შეიძლება ნადირის, ფრინველის და მათი რომელიმე ჯიშის ხოცვა; 2) შეამოკლოს ზემოდაღნიშნული ნადირობის წარმოების ვადა ან სრულიადაც დროებით აკრძალოს ნადირობა იმ ადგილებში, სადაც შენიშნავს ნადირის საგრძნობ შემცირებას და აგრეთვე მოსპოს ნადირობა მთელ საქართველოში ნადირის იმ ჯიშზე, რომელიც კავშირის აზრით საჭიროებს განსაკუთრებულ პატრონობას.

8) აკრძალულია გადატანა, გაყიდვა და ყიდვა ნანადირევისა ნადირობის აკრძალვის ვადის ათი დღის შემდეგ.

შენიშვნა: ცოცხალი ნადირის გადატანა მისი მოშენების მიზნით შეიძლება მხოლოდ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატიდან მიცემულ ნებართვის მოწმობებით (მე 6 მუხლი დეკრეტისა ნადირობის შესახებ).

9) ნადირობის შესახებ არსებულ დეკრეტში აკრძალულ ადგილებს გარდა (მ. 8, ლიტ. ბ.) მონადირეთ ეკრძალებათ ნადირობის დროს დახნულ მიწებსა და ბოსტნებზე სიარული.

10) ირმის დასაცავად და გასამრავლებლად აკრძალულია ნადირობა მთელი 1922—1923 წლების განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხეებში.

11) ჭილის ჩალის) წვა აკრძალულია სუყველასათვის 1-მარტიდან 1 ოქტომბრამდე.

12) ამ წესების აღსრულება ძალაში შედის- მათი გამოქვეყნების დღიდან.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე—**ქიქოძე.**

საქმეთა მმართველის ამხ.
ა. ჭილაშვილი.

მონადირობის სპეციალისტი
მარკოვი.

სარედაქციო კოლეგია.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება

აცხადებს ყველა სახლის პატრონთა საყურადღებოთ, რომ გაყიდვა და მიღება საანკეტო ფურცლებისა სახლების რეგისტრაციისათვის გრძელდება 1 აგვისტომდე.

საანკეტო ფურცლის ფასი 100.000 მან.

1 აგვისტოდან საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 10-ჯერ.
(10—1)

იყიდება ყინული

ქალაქის სასაკლაოებზე. მოტანით 40.000 მან. ფუთი, ადგილობრივ 30.000 მანეთი.

იმათ, ვისაც სურთ შეიძინონ ყინული უნდა წარადგინონ სასაკლაოს კანცელარიაში განცხადება (ტელ. 8—66).

ტფილისის ქალაქის სასაკლაოს დირექტორი **ი. დვოროკოვსკი.**
(3—3)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

(ЗАКВНЕШТОРГ)

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადაგზავნას შეღავათიანს, საკომისიო პირობებში თავისი მარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ ყოველ დღე (უქმეებს გარდა) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნიჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიუროში (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სარაჭრო განყოფილების ბინა) ბიუროს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალევსკის. ქალაქ გარეშეთ სთხოვენ მიჰმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყოფილებას ადგილობრივ.

ა. კ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

აბანოები

უოფ. ორბელიანის, არგუტინსკის და ირაკლის

ახლად შეკეთებულია და მშვენივრად მოწყობილი ნომრებით.

ცივი და ცხელი ორთქლი

გოგირდის წყალი. მუდამ არის თავისუფალი ნომრები.

(10—4)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ ბედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—13)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ბარათი გიორგი არჯევანიძე შაყულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
2—2

დაიკარგა: პასპორტი, პირადობის მოწმობა, საწევრო წიგნები მთლიანი მუშათა კოოპერატივისა და „ერთობის“ კოოპერატივისა და სხვა ქაღალდები სვიმონ ღვთისავრიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
(1—1)

ტირაჟი 10,000.   ნ. დ. ს. ც.   საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.